# საერთო გაზეთი

№38 (730)
ოთხშაბათი
22 ნოემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


## ამდენ ორსულა ვონ დერ ლაიენებს რა გააჩერებს?

**მსოფლიო აირია – პოლიტიკური ელიტა აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს**

**პარლამენტში ოპოზიცია კი არა, ქუჩის ხულიგნები სხედან**

**შეძლებს თუ არა ჩინეთი დოლარის ემისიის შეჩერებას**

**სალომე ზურაბიშვილი სწრაფი ტემპით ეშვება პოლიტიკურ ჭაობში**

არ ინერვიულო, მოაწერს ხელს!

## ემზარ ცირდავა – მხატვარი ბევრი მზითა და ბევრი ტკივილით



**მკითხველთა საყურადღებოდ! გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 6 დეკემბერს**

# საქართველო სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტია

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებული თანამშრომლობა განიხილეს. მხარეებმა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივებზე იმსჯელეს. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ მნიშვნელობას, რომელიც სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ყურადღება დაეთმო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით რეკომენდაციას.

განსახილველ საკითხებს შორის ასევე იყო რეგიონსა და მსოფლიოში არსებული გარემო და გამოწვევები. ყურადღება გამახვილდა იმ პოზიტიურ როლზე, რომელიც საქართველოს შეუძლია ითამაშოს სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად. ირაკლი ღარიბაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, კვლავაც შეიტანოს საქართველომ თავისი წვლილი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ირაკლი ღარიბაშვილმა ლეო დოქერტის საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ასევე, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში გაერთიანებული სამეფოს მიერ შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ვითარებაზე და ლეო დოქერტის საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი; გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ სამეზობლოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქეითი დანი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდნენ.

# ქვეყანას ირაკლი ღარიბაშვილის სახით ჰყავს ღირსეული პრემიერ-მინისტრი

„2025 წლამდე ჩემს ქალაქს და თბილისელებს ვემსახურები“, - ასე უპასუხა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მედიის შეკითხვას მის სავარაუდო პრემიერობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაციის წყარო მიხეილ სააკაშვილია.

კალაძის თქმით, დასასრულებელია დედაქალაქში მიმდინარე არაერთი რეფორმა და პროექტი.

„ქვეყანას ჰყავს ღირსეული პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის სახით. რაც შეეხება ჩემს მომავალს, მე თბილისის მოსახლეობის უმრავლესობამ ამირჩია და 2025 წლამდე ვემსახურები ჩემს ქალაქს და თბილისელებს. უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო დედაქალაქის მერი. უამრავი მნიშვნელოვანი რეფორმა და პროექტი გვაქვს დაწყებული, რასაც ბოლომდე მიყვანა სჭირდება“, - განაცხადა კახა კალაძემ.

* * * *

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის მიერ გაკეთებულ განცხადებებში მათი რეალური ზრახვები იკვეთება, - ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ემიგრანტებთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადების შეფასებისას ისაუბრა.

„წამოცდენები აქვთ ამ ადამიანებს. ამ წამოცდენებში კი რეალურად კარგად იკვეთება, თუ რა ზრახვები აქვთ. ჩვენ აბსოლუტურად ღიად ვსაუბრობთ ამ ყველაფერზე - მათ აქვთ სურვილი, რომ საქართველოში გაჩნდეს მეორე ფრონტი და ქვეყანა ისევ იმ უბედურებაში ჩაერთოს, რაც, სამწუხაროდ, გამოცდილი და გამოვლილი გვაქვს საკუთარ თავზე. 2008 წელს რა ქნეს? ომით რა გააკეთეს? გეტყვით, რაც გააკეთეს: დავკარგეთ ტერიტორიები და ქვეყნის ძალიან დიდი ნაწილი ოკუპირებულია; განადგურებულია ინფრასტრუქტურა; გვყავს უამრავი დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქე და გმირი ჯარისკაცები. აი, ეს მივიღეთ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, ქვეყანამ ტერიტორიული მთლიანობა ეკონომიკური გაძლიერებითა და მშვიდობის შენარჩუნებით უნდა აღიდგინოს.

„ჩვენ უნდა გავძლიერდეთ ეკონომიკურად, შევინარჩუნოთ მშვიდობა, გაძლიერდეს თითოეული ოჯახი და ამ ყველაფრით შევძლებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

* * * *

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ, რომელიც ბიძინა ივანიშვილზე სალომე ზურაბიშვილის მიერ ფრანგულ პრესაში გაკეთებული განცხადების შეფასებას ეხებოდა, ისაუბრა ბიძინა ივანიშვილის წვლილზე ქართულ პოლიტიკაში, ასევე, მის ქველმოქმედებაზე.

თბილისის მერის თქმით, უანგარო ქველმოქმედების გარდა, ბიძინა ივანიშვილის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო 2012 წელს მისი პოლიტიკაში ჩართვა.

„ბიძინა ივანიშვილი არის ღირსეული ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი. ის არის ადამიანი, რომელმაც უამრავი საქველმოქმედო პროექტი განახორციელა, უამრავ ოჯახს, არაერთ ადამიანს დაეხმარა. ეს იყო სკოლების რეაბილიტაცია-განახლება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოწესრიგება. არ ვიცი, რომელი ერთი პროექტი ჩამოვთვალო, რაც მართლაც მნიშვნელოვანია. ეს იყო მისი უანგარო ქველმოქმედება და დღესაც აგრძელებს ეს ადამიანი საქველმოქმედო საქმიანობას. თუმცა მე მგონია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც ბიძინა ივანიშვილმა გადადგა, 2012 წელს მისი პოლიტიკაში შემოსვლა იყო, რადგან მთელი საქართველო გააერთიანა მის ირგვლივ და დაამარცხა ის ბოროტება, რასაც წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი“, - განაცხადა კახა კალაძემ.

# ხატია გოგალაძე ერთადერთი ქალი სამხედროა, რომელიც საბრძოლო ქვედანაყოფში ასეულის მეთაურის პოზიციაზე მსახურობს

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ასეულის მეთაური ხატია გოგალაძე საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ხატია პირველი ქალია, რომელმაც წარმატებით გაიარა საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსი და ამჟამად ის ერთადერთი ქალი სამხედროა, რომელიც საბრძოლო ქვედანაყოფში ასეულის მეთაურის პოზიციაზე მსახურობს. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ უფროს ლეიტენანტ ხატია გოგალაძეს ღირსეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და ბოლო სპორტული მიღწევა მიულოცა. ხატიამ ჩოგბურთში გამართულ ტურნირზე „ლოპოტას თასი-2023“ პირველი ადგილი დაიკავა. გრიგოლ გიორგაძემ, თავდაცვის მინისტრის სახელით, ხატია გოგალაძეს სპორტული წარმატებისთვის საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა.

26 წლის უფროსი ლეიტენანტი ხატია გოგალაძე მე-11 ქვეით ბატალიონში საბრძოლო ასეულის მეთაურია. ხატია თავდაცვის ძალებში 2014 წლიდან მსახურობს. მან დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა დაამთავრა, შემდეგ კი გაიარა უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი ქვეითის სპეციალობით.

# მსოფლიო აირია - პოლიტიკური ელიტა აზრზე არ არის რას ლაპარაკობს

*გვესაუბრება*
*პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი*
*რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, აზია-წყნარი ოკეანის სამიტის ფარგლებში აშშ-ისა და ჩინეთის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ. როგორ შეფასებთ ამ მოვლენას?**

— პრობლემა ის არის, რომ არავინ იცის, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს. რამდენიმე ვერსია გაჟღერდა. მათ შორის ერთ-ერთი ვერსიით ბაიდენმა სის უთხრა: ირანს გადაეცი, ახლო აღმოსავლეთის ომში არ ჩაერთოსო. მეეჭვება, ამ წონის ფიგურები ერთმანეთს ფოსტალიონის როლის შესასრულებლად შეხვედროდნენ. ირანის თემა მომავალი საომარი მოქმედებების განხილვის ფონზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მეორე მხრივ, ამ ინფორმაციის ირანამდე მიტანას თავისი მექანიზმები აქვს, რაც ასეთ შეხვედრებს სულაც არ საჭიროებს. ვივარაუდებ, რომ შეხვედრაზე ისეთი საკითხები განიხილეს, რაც ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია. ერთ-ერთ ვერსიით, ორი ზესახელმწიფო შეთანხმდა, რომ ერთმანეთს კონკურენციას კი არა, არამედ პარტნიორობას გაუწევენ. სიმაც თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთისთვის ამერიკა პარტნიორია და არა მეტოქე. აქვე კისინჯერის ფორმულა გავიხსენოთ: დიდმა სახელმწიფოებმა მსოფლიო გაინაწილეს და ერთმანეთის ტყავს ნუღარ დაგლიჯავთო. აშშ-სა და ჩინეთს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ერთმანეთის ტყავის არდაგლეჯვა შეიძლება ყოფილიყო. სის განცხადება გვაფიქრებინებს, რომ მოილაპარაკეს ურთიერთობების დათბობაზე და არა დაპირისპირებაზე.

**— აშშ ჩინეთთან ურთიერთობას გვიკრძალავს, თავად კი სი ძინპინს პომპეზურად დახვდა. ახალმა ელჩმა გვითხრა: საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობას არ მივესალმებით, რადგან სახეზეა რუსეთის ჩინეთთან დაახლოება.**

— რუსეთის ჩინეთთან დაახლოება-არდაახლოების გარდა, სხვა საკითხებიც იკვეთება. შეხვედრის შემდეგ, აშშ-ის სიბრძნით სავსე პრეზიდენტმა სი ძინპინს უცებ დიქტატორი უწოდა. გაუგებარია, ქართველებს რატომ გვთხოვენ, ჩინეთთან არ ვითანამშრომლოთ, როცა ბაიდენი თავად ვერ გარკვეულა: სად რა უნდა თქვას. ჩინეთი დიქტატორია — ეს სტერეოტიპია, მაგრამ ხომ უნდა დაფიქრდე: გაწყობს თუ არა ახლა ამაზე საუბარი?! ამიტომ ნუ ვიქნებით აშშ-ის მიმართ მკაცრი, რადგან ამ დიდი ქვეყნის — ამერიკის მდგომარეობაზე უფრო გული უნდა შეგვტკიოდეს. თვითონ ამერიკის შიგნით, მის ხელმძღვანელობაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

**— საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, სი ძინპინი დასაჭერიაო. ამაზე რას იტყვით?**

— დიახ, ასე განაცხადა ზურაბიშვილმა და მერე ჩინეთთან ბოდიშის მოხდამ მოუწია, პუტინს ვგულისხმობდიო. ეს განცხადება დიდი სირცხვილი იქნებოდა, რომ არა ერთი მომენტი: თანამედროვე მსოფლიოშიც ანალოგიური ვითარებაა. დიახ, მსოფლიოს უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებს ვერ გაურკვევიათ, სად რა თქვან. ამისთვის ზემოთნახსენები ბაიდენის მაგალითიც კმარა. როცა ეს ამერიკაში ხდება, ქართული პოლიტიკა რა მოსატანია. მსოფლიო არეულია — პოლიტიკური ელიტა რას ლაპარაკობს, აზრზე არ არის. ღმერთო, გადაგვარჩინე!

ზურაბიშვილის განცხადება სი ძინპინზე, ალბათ, უფრო შეცდომა იყო, ვიდრე გამიზნული პროვოკაცია. პროვოკაციაში სხვა რამ იგულისხმება — პოლიტიკურ თამაშებში ჩართული პირი სვლებს წინასწარ თვლის და პროვოცირებას უკეთებს მეტოქეს, რათა მან შეცდომა დაუშვას. ჭადრაკში ასეთი პროვოკაციები ძალიან ხშირია. აპლოდისმენტების ღირსია მოჭადრაკე, რომელიც ახერხებს, მეტოქე პროვოკაციაზე წამოაგოს. იმის წინასწარ გათვლა, თუ რა შეცდომას დაუშვებს მეტოქე, ვთქვათ, მეოთხე-მეხუთე სვლაზე, ჩვენს პოლიტიკოსებს არ ძალუძთ. დღევანდელი პოლიტიკა ანალოგიური დაუდევრობებით სავსეა. შედეგს უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე მთელი მსოფლიო იმკის.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, რომ კონკურენცია, რომელიც ამერიკასა და ჩინეთს შორის არსებობს, ესკალაციაში გადაიზარდოს?**

— ასეთ რთულ პირობებში გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, საქმე გვაქვს პოლიტიკოსებთან, რომელთაც რთული გათვლები არ ახასიათებთ. იმის პროგნოზი, თუ რა და როგორ მოხდება, შეუძლებელია. მოვლენების მსვლელობას თუ გავყვებით, მეეჭვება, აშშ და ჩინეთი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი, ალბათ, ის იყო, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტმა პროცესში დიდი ძალები არ ჩაითრიოს. თუნდაც ჩინეთისა და ამერიკის ამ ომში ჩათრევა ორივე მხარისთვის სერიოზული დარტყმა იქნება.

**— ჩვენ ჩინეთთან ურთიერთობის ისტორიულ ეტაპზე ვართ. აბრეშუმის გზის პროექტში მისი როლი განუზომელია. როგორ შეხვდება მსოფლიო ჩინეთის მიერ შეთავაზებულ თამაშის ახალ წესებს?**

— ვნახოთ, რა გავლენის მქონე სახელმწიფოები დარჩებიან მსოფლიოში. დღეს შექმნილი ვითარებიდან აშკარაა, რომ ქვეყნებს შორის გავლენის ხარისხი შეიცვლება. მაგალითად, ცხადად ჩანს, რომ რუსეთის გავლენის ხარისხი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ეს რუსეთ-უკრაინისა და ისრაელ-პალესტინის ომამდე იყო. ანალოგიურად, რომელი სახელმწიფოების გავლენაც შემცირდება, მათ პოზიციასაც ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ხოლო ვისი პოზიციაც გაძლიერდება, მის სიტყვას მეტი წონა ექნება.

**— საქართველოსთვის რა სარგებელი აქვს აშშ-ისა და ჩინეთის ლიდერების შეხვედრას?**

— თუ ამერიკა და ჩინეთი შეთანხმდნენ, რომ პარტნიორები იქნებიან, მაშინ მათ შორის დიალოგიც შედგება. ჩვენთვის საფრთხე იქნებოდა, თუ ისინი მშვიდობიანი დიალოგის პლატფორმას არ შექმნიდნენ. ასეთ შემთხვევაში ამერიკას შეეძლო, საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნით ჩინეთის ეკონომიკისთვის ბორბლებში ჯოხის გაკვეხება. თუკი დიალოგი შედგება, მაშინ ჩინეთი ამერიკის წინაშე თავის ინტერესს დაიცავს, რომ სატრანზიტო ხაზები დარტყმის ქვეშ არ აღმოჩნდეს. ასე რომ, მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება ჩვენთვის უდავოდ მისაღებია.

**— თუ აშშ და ჩინეთი პარტნიორულ ურთიერთობაზე შეთანხმდებიან, სად აღმოჩნდება რუსეთი?**

— რუსეთს იქამდე, სანამ მისი „ადგილმდებარეობა“ დადგინდება, ბევრი რამ აქვს გასარკვევი. თუნდაც, რა ვითარება იქნება თავად რუსეთში. საუბარია იმაზეც, რომ პუტინი გარდაცვლილია. ამ შემთხვევაში გასარკვევია ისიც, რა პოლიტიკური ორიენტაციის იქნება მისი მემკვიდრე და ასე შემდეგ.

**— ბატონო რამაზ, რატომ აღიზიანებს აშშ-ს ჩინეთთან ჩვენი ურთიერთობა?**

— დასავლეთმა საქართველოში ბორელის ვიზიტის დროს მისი პირით გვითხრა: თქვენ, მოსწავლეები ხართ, ჩვენ — პროფესორები და რასაც გეტყვით უნდა დაგვიჯერეთო. პროფესორის გარდა არსებობს რექტორის, პრორექტორის თანამდებობებიც. პროფესორი თანახმა იქნება, რომ სტუდენტი რექტორთან სასაუბროდ პირდაპირ შეუშვას, თუ რასაც ის მიუთითებს, მხოლოდ იმაზე უნდა ისაუბრონ?! ამერიკა ჩინეთთან

ურთიერთობაზე თანახმაა, მაგრამ სხვა ქვეყნებმა, ვისაც ამერიკა მასზე დამოკიდებულად მიიჩნევს, აშშ-ის მიერ დაწესებული რეგლამენტით უნდა იმოქმედონ, თუ როგორ წარიმართება მათი ჩინეთთან ურთიერთობა?! რის უფლებასაც საკუთარ თავს ამერიკა მისცემს ჩინეთთან ურთიერთობისას, რატომ გვგონია, რომ ჩვენც იგივე უფლებები გვექნება?! ჩვენ ხომ გვითხრეს: თქვენ სტუდენტები ხართ და ჩვენ პროფესიორებიო. ანუ, პარტნიორები კი ვართ, მაგრამ ჩვენ ერთნაირები არ ვართ და არც ერთნაირი უფლებები გვაქვსო. აი, ამას გვეუბნება დასავლეთი.

**— ზურაბიშვილმა „ლე მონდს“ დეოლოგარქიზაციაზე დასმულ შეკითხვაზე განუცხადა: საქართველოში ერთადერთი ოლიგარქი ივანიშვილია, რომელიც ფსონს რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის გამარჯვებაზე დებსო...**

— ეს რომ მოვისმინე, გული ძალიან დამწყდა, რადგან ზურაბიშვილს კარგად ვიცნობ და მენანება იმ გზის არჩევისთვის, რისკენაც თავად მიდის. კერძოდ, იგი თავად მიდის იმისკენ, რომ ქართველი ამომრჩევლისთვის მიუღებელი გახდეს. „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის ხომ მიუღებელია და დიდად არც ოპოზიცია სწყალობს. მასზე ამბობენ: ეს გამოცდა კარგად ჩაბარა, აბა ვნახოთ, შემდეგ გამოცდაზე რა ნიშანს დაიმსახურებსო. ზურაბიშვილს პოლიტიკურ ფიგურად არც ოპოზიცია აღიქვამს. ასეთი, ღამურას ბედ-იღბალისთვის ეს ქალი მეცოდება. მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში მიშას საგარეო საქმეთა მინისტრობა ყველაზე მაღალი თანამდებობა იყო. ოპოზიციაში გადასვლის მერე მან საკუთარი პარტია შექმნა, მაგრამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მესიჯები ვერ გაახმოვანა. იგი დიდი პოლიტიკისთვის მზად არ არის. პატარა ბავშვს რომ აიძულებ, ჭადრაკის დაფასთან რთული პარტნიორების წინაშე ითამაშოს, ან იმაზე დიდი წონა ასწიოს, ვიდრე მის ასაკს შეეფერება, აი ამას ჰგავს მისი ამჟამინდელი მდგომარეობა.

ზურაბიშვილი ორიენტაციას იღებს იმაზე, თუ რას ამბობს დასავლეთი. სი ძინპინზე თქვა დასაჭერიაო და ორი დღის მერე ბაიდენმა ჩინეთის ლიდერს დიქტატორი უწოდა. ანუ, ზოგად განწყობებზე, რაც დასავლეთში ჩინეთის მიმართ არსებობს, ორიენტირებულნი იყვნენ ცალკე ზურაბიშვილი, ცალკე — ბაიდენი. ბევრი ჩინეთს ზემოდან უყურებს, მაგრამ ის შეიძლება უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე სხვა ევროპული ქვეყნები. სალომეს ორიენტაცია ევროპულ ქვეყნებზე აქვს აღებული, მათ შორის, საფრანგეთზე. იგი თავისი განცხადებებით ცდილობს, საკუთარ პოლიტიკურ მომავალს ხელი შეუწყოს არა საქართველოში, არამედ დასავლეთში. მან „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა სრულიად დაკარგა, ვერც ნაცების მხარდაჭერა მოიპოვა. აქამდე ივანიშვილს საერთოდ არ ახსენებდა. ახლა, როცა პრეზიდენტობის ვადა ეწურება, ნელ-ნელა იქითკენ მიიწევს, რომ მისი ხმამაღალი განცხადებები ევროპელებისთვის მისაღები, მოსაწონი აღმოჩნდეს. ევროპამ დაიმახსოვროს მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის ორიენტაციები, ტენდენციები, რათა სამომავლოდ საშუალება მიეცეს, ევროპულ ოჯახში საკუთარი კაბინეტი გააჩნდეს.

რაც შეეხება მის ფრაზას: ივანიშვილი ცდილობს, რუსეთის გამარჯვებას მოერგოსო, ეს ყოვლად გაუგებარია. ფრანგული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მან თავად გაიხსენა, როგორ უყვებოდა ივანიშვილს ევროპაში მოგზაურობის შესახებ და როგორი იყო ამაზე ბატონი ბიძინას რეაქცია — ის, უბრალოდ, უსმენდა. ივანიშვილს არ უთქვამს სალომესთვის: ევროპას თავი დაანებე და რუსეთისკენ წამოდიო. მაშინ გაუგებარია, რა ლოგიკით ამბობს, რომ ივანიშვილი რუსეთისკენ იყურება და არა ევროპისკენ!

**თამარ შველიძე**

# საქართველომ ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმა დაიწყო

*გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:*

**— ბატონო ლევან, ევროპამ ცხრა ახალი რეკომენდაციის შესრულება დაგვაკისრა, რასაც ოპოზიციის ნაწილი ბოიკოტს უცხადებს. ერთ-ერთი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა. რა ვითარება გვაქვს ამ კუთხით?**

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ ევროკომისიის მიერ დადებით რეკომენდაციას მივესალმები. მიმაჩნია, რომ სტატუსი ჯერ კიდევ შარშან უნდა მოენიჭებინათ. ევროპის მაშინდელი გადაწყვეტილება სამართლიანი არ იყო. ჩემი დაკვირვებით, ამჯერად სტატუსის მონიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია ისევ და ისევ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე გასცეს. საქართველოსთვის სტატუსის მონიჭებაზე უარის თქმა მთლიანად დასავლეთისთვის დიდ რისკებს გამოიწვევს, რადგან ასე ჩვენს ქვეყანას შეეძლება, სხვა გავლენიან ქვეყნებთან ურთიერთობის კუთხით უფრო თავისუფლად იმოქმედოს და ვექტორიც შეიცვალოს. ანუ, დასავლეთი მიხვდა, რომ საქართველოზე გავლენას კარგავდა, რაც ავტომატურად კავკასიაზე გავლენის დაკარგვასაც ნიშნავს. ამიტომ, დასავლეთის შარშანდელი და ამჟამინდელი გადაწყვეტილებაც პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ახლა, რაც შეეხება ცხრა რეკომენდაციის შესრულებას, სამწუხაროდ, დასავლეთი საქართველოსთან თამაშს არ წყვეტს. პირველი საფრთხისშემცველი ტალღა კანდიდატის სტატუსის მოცემა-არმოცემის საკითხი იყო. ჩვენთვის სტატუსზე უარის თქმას ბევრი კონგრესმენი თუ ევროდეპუტატი საქართველოში დაძაბულობის შესაქმნელად იყენებდა, რაც მეხუთე კოლონას საფუძველს აძლევდა, რევოლუციური სცენარი აემოქმედებინა. თუმცა გამოიკვეთა, რომ სტატუსის არმონიჭება ევროპისთვის უფრო სახიფათო იყო. ამიტომ დესტაბილიზაციის შექმნის თემა ამ კონტექსტში, დაიხურა.

მოდი, განვიხილოთ, რას გულისხმობს ახალი რეკომენდაციები: საქართველომ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნების ჩატარება, საგარეო პოლიტიკის ევროკავშირთან შესაბამისობაში მოყვანა, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კანონგარეშე, დამატებითი უფლებების უზრუნველყოფა და ასე შემდეგ. ანუ, ფაქტობრივად 2024 წლის არჩევნები გადამწყვეტი იქნება — დასავლეთის სურვილია, ახალი ტალღა ააგოროს და არჩევნები ქვეყანაზე ზეგავლენის მოსახდენად გამოიყენოს, მათ შორის, რევოლუციური გადატრიალებისთვისაც. მათი ყურადღება, ძირითადად, არჩევნებზე, დემონსტრაციების მოწყობაზე და მეხუთე კოლონის შემადგენელი ნაწილების უფლებების კანონზე მაღლა დაყენებაზე იქნება მიპყრობილი. როგორც პოლიტტექნოლოგი, გეტყვით, რა მექანიზმია ამაში ჩადებული: დასავლეთს არ სურს, საქართველო ხელიდან გაუშვას. **ჩვენ განვიხილებით არა როგორც პარტნიორი, არამედ ტერიტორია, რომელიც თავისი ინტერესებისთვის უნდათ გამოიყენონ. ამიტომაც აფინანსებენ მეხუთე კოლონას — ამით ახალ საშუალებას ქმნიან, რათა 2024 წლის არჩევნები მათთვის სასურველი ჯგუფების ხელისუფლებაში მოსაყვანად გამოიყენონ. აი, რისთვის ემზადებიან.** როცა საგარეო საქმეთა კომიტეტში, სენატში სენატორ რიშისთან ერთად საქართველოს, კავკასიის საკითხი განიხილეს, სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ განაცხადა: საქართველოში დემოკრატიის უზრუნველსაყოფად აშშ არჩევნებზე დაკვირვების მუდმივმოქმედ მისიას გააგზავნისო. არჩევნებს დააკვირდებიან ,თუ სხვა ქმედებებს განახორციელებენ, ზუსტად არ ვიცით, მათგან ყველაფერი მოსალოდნელია. ეს ცხრა რეკომენდაციაც სწორედ ამ მიზნისთვის იქნება გამოყენებული.

რამდენიმე დღის წინ ევროდეპუტატმა ვიოლა ფონ კრამონმა დასავლეთის ჩანაფიქრი გაამხილა და განაცხადა: რუსთაველის ქუჩის რეკონსტრუქცია იმიტომ დაიგეგმა, რომ დემონსტრაციებს, მასობრივ გამოსვლებს ხელი შეეშალოსო. ანუ, მათ უკვე დაგეგმილი აქვთ, რომ საქართველოში გამოსვლებმა მასიური ხასიათი უნდა მიიღოს. ჩვენ ახალი დაპირისპირების ეტაპზე გადავდივართ. დააკვირდით, როგორ მოქმედებს მეხუთე კოლონა — წინასწარ აცხადებენ, რომ 5%-იანი ბარიერი ყველამ გადალახა, ზოგი 10%-იანი ბარიერის გადალახვაზეც საუბრობს. ანუ, სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებით პოზიციას იმაგრებენ, რათა შემდგომ არჩევნების გაყალბებაზე სასაუბროდ საფუძველი შექმნან.

დასავლეთს ხელთ აქვს არჩევნების ლეგიტიმაციის მექანიზმი. არჩევნები სამართლიანად ჩატარდა თუ არა, ამას თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე იტყვიან. 2024 წელს ელექტრონული არჩევნები ჩატარდება, რა დროსაც ეგზიტპოლები აზრს კარგავს. თუმცა შეეცდებიან, წინასწარ პრევენციული შეფასება მაინც გააკეთონ — იქნება თუ არა არჩევნები სამართლიანი. ვიმეორებ, დასავლეთს აქვს ძლიერი ბერკეტი, შეაფასოს, ნებისმიერი მიმართულებით სამართლიანი იყო თუ არა არჩევნები. არჩევნები 100%-ით სამართლიანად რომ ჩატარდეს, მას შეუძლია განაცხადოს, რომ არჩევნები გაყალბდა, ან პირიქით. ეს გასათვალისწინებელია.

**— ბატონო ლევან, თავად ოპოზიცია უკვე არჩევნებს არალეგიტიმურად აცხადებს იმ მოტივით, რომ სააკაშვილი ციხეშია.**

— ასეთი მცდელობები ექნებათ. საქართველოში არეულობის მოწყობის სცენარები კიევში იწერება. ჯერ იძახდნენ, მიშა კვდებაო, რამაც არ იმუშავა. ახლა მის გასაპრემიერებლად ემზადებიან. უკრაინის მოქალაქე სააკაშვილს, რომელმაც თავის სამშობლოს უღალატა, ისე წარმოაჩენენ, თითქოს, ქვეყნის გადამრჩენელია. თუმცა მიშას თემას ყავლი გაუვიდა, რაც დასავლეთსაც კარგად ესმის, გარდა იმ სენატორებისა და დეპუტატებისა, რომლებიც სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების მიერ ფინანსდებიან — ევროდეპუტატების, სენატორების, კონგრესმენების გადმობირებაში მილიონებს ხარჯავენ. ეს პირდაპირ დაფიქსირებულია სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე. კორუფცია სახეზეა. 23 ნოემბერს უფრო ნათლად გამოჩნდება, რა გეგმები აქვთ სააკაშვილთან დაკავშირებით.

**— 23 ნოემბერს ისიც გაირკვევა, დატოვებს თუ არა მელია პარტიას. ზოგადად, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე?**

— მათ სურთ კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ისე გააგრძელონ ქვეყნის „აღმშენებლონა“, როგორც ამას მიშას მმართველობის სისხლიანი რეჟიმის დროს აკეთებდნენ. ეს ოპოზიცია კი არა, მეხუთე კოლონაა, რომელიც უცხოეთიდან ფინანსირდება და მათ შეკვეთებს ასრულებს. ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ამბობს, რომ თუ ხელისუფლება არ შეიცვლება, ეს არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლება. ეს სწორედ მათი დამკვეთების ნარატივია. საქმე ის არის, რომ საქართველომ, ბოლო პერიოდში, მართლაც შესამჩნევი სუვერენული ფუნქცია გამოავლინა. ნამდვილად „ქართული ოცნების“ დამსახურებაა ის, რომ საქართველომ ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმა დაიწყო. ამიტომაც ვერ მოხერხდა რუსეთთან დაპირისპირებაში, ომში ჩვენი ჩართვა. გათვლა, რაც დასავლეთს ჰქონდა, რომ იმას გაგვაკეთებინებდა, რაც თავად სურდა, არ გამოვიდა. ამიტომ იქნება მცდელობა, ქვეყნის სათავეში ის ჯგუფები მოიყვანონ, რომლებიც მათ დავალებებს პირნათლად შეასრულებენ. ეს ქვეყნები საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებენ და ჩვენც ჩვენი ქვეყნის ინტერესები უნდა დავიცვათ.

დასავლეთს არ სურს, ჩინეთთან ურთიერთობა გვქონდეს, ასევე, არ უნდა, ოკუპანტს ტერიტორიების დაბრუნების საკითხზე დაველაპარაკოთ. და ეს მაშინ, როცა ბაიდენი სი ძინპინს ხვდება, რათა ურთიერთობები მოაგვარონ. ჩვენ გვეუბნებიან, ჩინეთი რუსეთთან მეგობრობს და ამიტომ მასთან ურთიერთობა არ უნდა გქონდეთო. დასავლეთი მესამეხარისხოვან ქვეყნად განგვიხილავს და ჰგონია, რომ ისევ ისეთი გამოუცდელები ვართ, როგორც 90-იან წლებში. ეს ჩვენთვის სტიმული უნდა გახდეს, რათა ქვეყნის ინტერესები მეტად დავიცვათ.

**— ბატონო ლევან, ბოლო პერიოდში რამდენიმე სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა, სადაც ცდომილებები აშკარად თვალშისაცემია.**

— ცდომილებები იმის მიხედვით იკვეთება, თუ რამდენად სამართლიანად ატარებენ კვლევას და ხომ არ აქვს ადგილი პოლიტიკურ შეკვეთას. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კვლევებს პოზიციების გასამყარებლად ატარებენ. უპროცენტო პარტიებს 5-7% დაუწერეს. როცა შედეგი დადგება, მერე იტყვიან: აი, ჩვენ კვლევებით 5% გვქონდა და ხელისუფლებამ ხმები მოგვპარაო.

სახიფათო ტენდენციად მივიჩნევ იმას, რომ დღეს პარლამენტში არსებული ვერცერთი პარტია, გარდა „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობისა“, 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. გამოდის, რომ საქართველოს ორპარტიული პარლამენტი ეყოლება. ეს, ერთი შეხედვით, ორივე პარტიას აწყობს. ასე, ჯამში, „ქართული ოცნება“ მეტ ადგილს მიიღებს, ვიდრე დღეს აქვს. ასევე, ნაცებიც უფრო სერიოზულად იქნებიან წარმოდგენილნი. მიმაჩნია, რომ ეს მომაკვდავი „ნაცმოძრაობის“, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები დაკარგა, კორუფცია დანერგა, ქვეყანა გააუბედურა, გაცოცხლება იქნება. დავაკვირდეთ ერთ რამეს: ხალხი, რომელიც განაწყენებულია და ხელისუფლებას ხმას არ აძლევს, მომდევნო არჩევნებში (2028 წელი), ორპარტიული პარლამენტის პირობებში, იძულებული იქნება, ხმა ნაცებს მისცეს, რადგან სხვა არჩევანი არ ექნება. ეს შეცდომა არ უნდა დავუშვათ. ცესკოს მონაცემებით, საინტერესო მომენტები იკვეთება: 2012 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, არჩევნებში, საშუალოდ, ამომრჩევლის 54% იღებდა მონაწილეობას. 46% კი — არჩევნებზე არ მოდის. მეორე ფაქტი ის გახლავთ, რომ ორივე პარტიას ხმების კლება აქვს. მაგალითად, „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელთან შედარებით, 2020 წელს 258 858 ხმით ნაკლები მიიღო, ხოლო ნაცებმა — 344 325 ხმით ნაკლები. ის 46% რომელიც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს, დაახლოებით, 350 ათასი ამომრჩეველია. თუ მათ მოტივაცია მიეცათ, არჩევნებზე მოვლენ. ეს, დაახლოებით, 17%-ს შეადგენს. ეს ის ხალხია, ვინც მესამე ძალის შექმნას ელოდება. თუ ამ პროცესს ხელი არ შეეშლება, „ნაცმოძრაობის“ რეაბილიტაციაც აღარ მოხდება.

**— ბოლოს მინდა, ზურაბიშვილის მიერ ფრანგულ გამოცემასთან გაკეთებულ განცხადებაზე გკითხოთ, სადაც მან ივანიშვილი ერთადერთ ოლიგარქად მოიხსენია...**

— საქართველოს, პრეზიდენტი არ ჰყავს, ეს მხოლოდ დასახელებაა, რასაც ლეგიტიმაცია არ გააჩნია. ზურაბიშვილი ქვეყანას პრობლემების მეტს არაფერს უქმნის. „ლე მონდთან“ ინტერვიუმდე განაცხადა: სი ძინპინი დასაპატიმრებელიაო. საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობის პერსპექტივა აქვს, რაც ბალანსად უნდა იქნას გამოყენებული, რათა მეტად გავძლიერდეთ. ამ დროს ზურაბიშვილი დასავლეთის შეკვეთას ასრულებს და ზემოხსენებული განცხადებით საქართველოს შეურაცხყოფას აყენებს. ჩვენ სხვა ქვეყნის ინტერესების განმახორციელებელი პრეზიდენტი გვყავს. ივანიშვილის ავტორიტეტი და პატივისცემა რომ არა, მას პრეზიდენტად არავინ აირჩევდა. მაშინ ზურაბიშვილისთვის ივანიშვილი მისაღები პიროვნება იყო, ახლა ოლიგარქს ეძახის. საზოგადოებამ თავად გააკეთოს დასკვნა, რას ემსახურება ეს ქალბატონი. იგი იმ ცხოველს დაემსგავსა, რომელიც ჯაჭვით არის დაბმული და რომ აუშვებ ყველას კბენს.

**თამარ შველიძე**

# ამდენ ორსულა ვონ დერ ლაიენებს რა გააჩერებს?

ვიფიქრე, იქნებ არ ღირს სიტყვის დასველება-მეთქი, მაგრამ, ვგონებ, დროულია, ხმა რომ ამოვიღო!

უაპელაციოდ მინდა ვიკითხო: გულმავიწყობა გვჭირს, თუ უპასუხისმგებლობა?

ქალბატონმა პრეზიდენტმა უკვე იმდენად გადაგვჭამა თავი, ბაჭია რომ ვიყო, ბოცვერიც კი აღარ მეგონებოდა თავი!

რაღაცნაირად მაინც ხომ უნდა მიცავდეს კანონი?

**მე, საქართველს რიგითი მოქალაქე, რატომ ვარ იძულებული, ქალბატონი პრეზიდენტის გამოხდომების მომსწრე-ამტანი მოქალაქე ვიყო?!**

რომელ დემოკრატულ და მსგავს იდიოტურ კანონმდებლობას მივმართოთ, რომ ამ ქალის გამოხტომები და უმსგავსო საქციელები აგვაცილონ მშვიდობისმოყვარე საზოგადოებას?

ხომ შეიძლება, რომ მზარდი ეკონომიკის ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიულ კიბეებს ვაი-ვიშითა და ხვნეშით მიუყვება, მეც ავუწყო ფეხი?

ზოგადად, ზეაკადემიური პიროვნება ვარ, მაგრამ რომ არ ვთქვა, რა გული გამიძლებს?

მთელი ერი და, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეები, ვიღაცის სამასხარაო ვართ?

**ჯერ კიდევ ის არის საკითხავი, როდემდე „ჩამოგვიკიდებენ სტაფილოს“ და რის ფასად?**

ვინ ბრიყვდება თუ იბრიყვებს თავს, არ ვიცი და არც მაინტერესებს, ეგებ, ტაქტიკაა ასეთი, მაგრამ მე ვალდებული ვარ, ჩემს მკითხველს ვუთხრა: გატყუებენ, მაკარ! (შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ პირნათელი უნდა ვიყო!)

გუშინ გვეფერებოდა ეს ქალბატონი, დღეს გვიტატანებს, — ვერაფერი გავიგე!

გაახლებთ: „პირველ რიგში, ეს არის აღსანიშნავი დღე საქართველოსთვის. როგორც წესი, როდესაც ჩვენ რეკომენდაციას გავცემთ კანდიდატის სტატუსზე, ვამბობთ, რომ ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც შესასრულებელია, დავალება, რომელიც შესასრულებელია. ეს დეტალურადაა ახსნილი მოხსენებაში და რეკომენდაციებში, მაგრამ ეს წინგადადგმული დიდი ნაბიჯია საქართველოსთვის“.

ამ ქალბატონს, ეტყობა, წარმოდგენაც კი არ აქვს ვინ იყვნენ პირამიდების ამშენებელი თეთრკანიანი გიგანტები... კაცმა რომ თქვას, გინეკოლოგმა რატომ უნდა იცოდეს ამგვარი საკითხები, მას სხვა გზაკვალი აბარია და ისიც არ ეცოდინება, ვატყობ!

გავიგეთ, რომ ქალბატონი ურსულა გინეკოლოგია, მაგრამ მსოფლიო რომ სააბორტო ქალი არ გახლავთ, ეს როგორ გავაგებინოთ (მეზობელი მყავს, ცხონებული მამამისი, ბუტიკო, გინეკოლოგი იყო და შვილს იუნონა დაარქვა. ქალბატონო ნინო, ცოტა უცნაური სახელი მქვიაო, — ასე გამეცნო. უი, მეთქი, მშობიარობის ქალღმერთის სახელი? იმ, დღის შემდეგ მისთვის ზეადამიანი ვარ, ვერ მიხვდა, რატომ უნდა მცოდნოდა მისი სახელის ისტორია. არადა, ბანალური ამბის გამო შემთხვევით ვიცოდი)?!. ახლა ეს ამბავი ამ ურსულას რომ მოვუყვე, რამეს გაიგებს?

ასპარეზზე რუსეთი (ვლადიმირ პუტინის სახით) და ჩინეთი (სი ძინპინის სახით) როდესაც გამოდიან და უკუდო კუდს იქნევ სადღაც ლოს-ანჯელესში, ცოტა უნდა დაოკდე მსოფლიოს თვალწინ მაინც.

ეს ერთი გიჟქალა სალომე ვერ გაგვიჩერებია და ამდენ ურსულებს რა გააჩერებს?

ჯერ კინაღამ გაგვლახა და მერე მოაყოლა: ჩინეთი აღარ არის ის ქვეყანა, როგორიც ათი წლის წინათ იყოო. ბიჯო, გუშინწინ მითხარი, რომ ჩინეთს დიქტატორი მართავს და ახლა რა თვალმა გკრა?

არაა, ან ადრე მომივიდა დაბადება, ან — დამაგვიანდა!

მე არავინ ვარ, მხოლოდ საქართველოს რიგითი მოქალაქე გახლავართ, მაგრამ მეჩვენება, თუ მსოფლიო ორმაგ თამაშს თამაშობს?

ვიღაც, ევროპელ ქალბატონად წოდებული მე თითს მიქნევს რაღაც დათქმულ 12 პუნქტზე, ამ ქალბატონს თავი ვინ ჰგონია, ნეტავ?

ღირსება ისეთ რამ არის, რაც არ იყიდება!

ისეთი სუნი მცემს, მგონი, კარლ ბილდტი გაცოცხლდა **(ცოცხალი კი არის, მაგრამ საქართველოს პოლიტიკაში მეზმანება, ამათი კორუფცია როდის დამთავრდება)**.

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდნეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდაო. რა გვჭირს, ახლა ურსულა ფონ დერ ლაიენი როდის დაასრულებს ციცასთან მოფერებას, იმას უნდა ველოდოთ?

მსოფლიო გადალაგების პროცესშია, ჩვენ ბრმა კვატებივით როდემდე უნდა ვიყოთ?

გუშინ დიქტატორი ქვეყანა დღეს ზედემოკრატიის სიმბოლოდ გამოგვიცხადეს ზეევროპელებმა და ჩვენ ყურთბალიშზე ღრმად რატომ გვძინავს?

„ჩინეთი აღარ არის იგივე ქვეყანა რომელიც ათი წლის წინათ იყო. შეიცვალა მისი ეკონომიკა, პოლიტიკა და გლობალური კვალი. ასე რომ, ჩინეთის სწორად გაგება, პირველ რიგში, მოითხოვს ფაქტების სწორად გაანალიზებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ უფრო მეტ და მეტ ინვესტიციას ვაკეთებთ ჩინეთის შესახებ ცოდნის გაღმავებაში, არა მხოლოდ ჩვენი **Horizont Eeurope**-ის კვლევითი პროგრამით, არამედ, უფრო მეტი ჩინელი ექსპერტის დაქირავებით ევროპულ ინსტიტუტებში.

გარდა ამისა, ჩვენ შევქმენით ჩინეთის სტეპენდიანტების პროგრამა ჩვენს შიდა ანალიტიკურ ცენტრში, რადგან დიალოგი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ერთმანეთს გავუგებთ. ამ მღელვარე დროშო, ჩინეთთან ურთიერთობისას საჭიროა სტრატეგიული პარტნიორობა, სტაბილურობა და ამისთვის ჩვენ უნდა ვიყოთ გულწრფელები იმის შეფასებისას, თუ როგორ ვითარდება ჩინეთი“, — გვამცნო ქალბატონმა დეიდა ურსულამ.

ამას კიდევ რა უჭირს, ევროკავშირისა და ჩინეთის ურთიერთობა ეკონომიკური კეთილდღეობისა და ეროვნული უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორიაო, — ღმერთო, ნუ გადამრევ!

ეს იმ ჩინეთზე არ არის საუბარი, გუშინ რომ დიქტატორი, მტარვალი და ყველა უბედურება ერთად იყო?

არ მჯერა მე ამ ფარისეველი ევროპის და ვისაც გჯერათ, გაგატარებთ!

საქართველომ და საქართველოს სახით ბატონმა პრემიერმა გაჭრა გზა ჩინეთისკენ, ახლა ეს უკან მოდევნებული ევროპა რისი მაქნისია — უკაცრავად და, კუდზე დაგვაჯდა?

საქართველოს დღის წესრიგი ევროპამ (ან ვინმე სხვამ) რატომ უნდა განსმისაზღვროს?

„პირველ რიგში, ეს არის აღსანიშნი საქართველოსთვის. როგორც წესი, როდესაც ჩვენ რეკომენდაციას გავცემთ კანდიდატის სტატუსზე, ვამბობთ, რომ ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომლებიც შესასრულებელია, დავალება, რომელიც შესასრულებელია. ეს დეტალურად არის ახსნილი მოხსენებაში და რეკომენდაციებში, მაგრამ ეს წინგადადგმული დიდი ნაბიჯია საქართველსთვის!“ — ბრძანა ქალბატონმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

ამ ქალბატონს სრულიად საქართველო ჰგონია გამოლენჩებული, თუ მხოლოდ ცალკეული პირები?

არცთუ უბრალოდ ვიგებ საქართველოს ერთი უბრალოდ მოქალაქე ამგვარ ფრაზებს...

„სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოს ევროპულ მისწრაფებას, საქართველოს მოქალაქეების მისწრაფებას. ეს მისწრაფებები ნამდვილად უნდა იქნას ყურადსაღები ხელისუფლების მხრიდან“, — დაარეხვა მორიგი სიტყვა ქალბატონმა ურსულამ. ის, რომ ხელისუფლება უნდა ფოკუსირდეს თორმეტ რეკომენდაციაზე, განვრცობადი ამბავია — ეს ქალბატონი ჯანმრთელად არის? რას მეტყველებს, ვინც დაუწერა, ის თუ იყო ჯანმრთელ აზრზე?

„მათ თუნდა დაიწყონ ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და, რა თქმა უნდა, უნდა ფოკუსრდნენ 12 რეკომენდაციაზე, რომელიც გაიცა წარსულში. ახლა კომისია ნამდვილად ხაზს უსვამს, რომ დადებითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს შემთხვევაში.

ოპოზიციას რაც შეეხება, ძალიან აქტიურად არის საპარლამენტო პროცესებში ჩართული. დეოლიგარქიზაციის მიმართულებითაც ხელშესახები ნაბიჯები გვაქვს — ანტიკორუფციული საბჭო ჩამოყალიბდა და, მასასადამე. კომისია რეკომენდაციას გასცემს კანდიდატის სტატუსის მიღების შესახებ და ჩვენ გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ყველაფერი, მთავრობა გადადგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის და ეს ჩემი მთვარი მესიჯია,“ , — მოგვახსენა ქალბატონმა ურსულამ.

მოგეხსენებათ, ოჯახში რაღაც ხმაურია ხოლმე, მაგალითად, ტელევიზორისა, რომელსაც ოჯახის წევრი უყურებს. ხმა მომესმა, თუ „გენდერული მიმართულებაზე“ რაღაც თქვა მიხეილ სარჯველაძემ და — ვერაფერი გავიგე? წითლიძემ მიკროფონი ისროლა! ლევან მგალობლიშვილი სულაც არ ვიცი, ვინ არის, ღუღუნებს თავისთვის თბილ პარლამენტში, მაგრამ მისი ბრალი ყოფილა. ეგ ვინღაა, ნეტავ?

ასეთ სიტუაციაში, რის შესახებ შეიძლება მსჯელობა?

სად ვართ ნეტავ, ვინმე ამიხსნის?

**იმ მეცნიერებს უნდა ავედევნო, ჯერჯერობით, ამაოდ რომ ცდილობენ დაადგინონ, ვის წარმოადგენენ სხვადასხვა დროს ნაპოვნი თავის ქალები...**

**ნინო დაუშვილი**

# სალომე ზურაბიშვილი სწრაფი ტემპით ეშვება პოლიტიკურ ჭაობში

**„სალომე ზურაბიშვილი სამაგიეროს უხდის „ქართულ ოცნებას“ იმის გამო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლეს და იმპიჩმენტის პროცედურა მოუწყვეს. მისი მესიჯია, როგორმე დასავლეთი დაარწმუნოს, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსული ინტერესების გამტარებელია და სანქციები უნდა დაუწესონ. ეს იყო ინტერვიუს შეკვეთის ამოცანაც და მიზანიც,“ – ასე აფასებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფრანგული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე. მისივე თქმით, შესაძლოა, დასავლეთის ზეწოლის შედეგად ხელიუფლებამ პოზიციები დათმოს და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერიც დასწიოს.**

**– ბატონო ზაალ, საკმაო დროა 2024 წლის არჩევნებამდე, მაგრამ ოპოზიცია უკვე ღელავს და საარჩევნო ბარიერის დაწევას მოითხოვს. როგორ ფიქრობთ, წავა ხელისუფლება ამ დათმობაზე?**

– ბარიერის დაწევას ითხოვენ ისევ და ისევ დასავლეთის იმედად. ხელზე აქვთ დახვეული ის ფაქტი, როდესაც შარლ მიშელის შეთანხმებას მოეწერა ხელი და მმართველმა პარტიამ პირობა დადო, თუ საქართველო სტატუსს მიიღებდა, ბარიერი 5-დან 2 პროცენტამდე დაიწეოდა. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებებიც მომზადდა, მაგრამ მოსმენაზე არ გასულა, რადგან მაშინ სხვა პოლიტიკური მოცემულობა იყო. იმ პერიოდში ჯერ კიდევ არსებობდა იმისი შანსი, რომ პარტიები ერთად, ცივილიზებულად იმუშავებდნენ და ნორმალური ოპონირების რეჟიმში იქნებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ პოლარიზაცია არათუ შემცირდა, პირიქით, იმატა. შესაბამისად, მმართველი გუნდისთვის ბარიერის დაწევის მიზანშეწონილობაც გაქრა.

თუმცა, ასე ცალსახადაც ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა. შეიძლება ისეთი ძლიერი ზეწოლა წამოვიდეს დასავლეთიდან, რომ იგივე განმეორდეს, რაც 2020 წელს მოხდა, როცა მმართველი პარტია ხელების გადაგრეხის პოლიტიკით აიძულეს, ერთჯერადად 5-დან 1 პროცენტამდე დაეწია ბარიერი. უპრეცედენტო რამ მოხდა, ამ შეთანხმებას აშშ-ის საელჩოში მოეწერა ხელი, რაც სუვერენული სახელმწიფოს შეურაცხყოფა იყო. ისევ ამერიკელებისა და ევროპელების ზეწოლით, სალომე ზურაბიშვილს შეწყალებით გამოაშვებინეს დამნაშავე ოპოზიციონერი პოლიტიკოსები... სამწუხაროდ, ჯერ არა ვართ იმ მდგომარეობაში, რომ მედგრად დავუდგეთ ზეწოლას. ზოგჯერ ხელისუფლება ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ, როდესაც ზეწოლა ძლიერდება, ისიც „ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს“. ახლა კი აცხადებენ, რომ ბარიერს არ დასწევენ, მაგრამ ვნახოთ, რა იქნება ახალი წლის შემდეგ, როდესაც პოლიტიკური სეზონი განახლდება. მეტსაც გეტყვით, ევროკავშირის დამატებით რეკომენდაციებში, სადაც არის 2024 წლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მოთხოვნა, ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერილია „ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმის“ განხორციელება და, შესაძლოა, ეს „ყოვლისმომცველი“ ბარიერის დაწევასაც მოიაზრებდეს. დასავლეთს არაერთხელ უთქვამს და არც მალავენ, რომ მათ ინტერესებშია, საქართველოს ჰყავდეს მრავალპარტიული პროდასავლური პარლამენტი, რომელიც კოალიციურ პროდასავლურ მთავრობას ჩამოაყალიბებს და რომელიც დღევანდელთან შედარებით დასავლეთის ნების უფრო მორჩილი შემსრულებელი იქნება.

**– გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუ ფრანგულ გამოცემასთან, სადაც ის ბიძინა ივანიშვილზე საუბრობს და მას საკმაოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. რა მიზანი აქვს სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებს საკუთარი ქვეყნისა და კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ?**

– პრეზიდენტის სამარცხვინო ინტერვიუ და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები იყო, ფაქტობრივად, წითელი ხაზების გადაკვეთა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სალომე ზურაბიშვილი სამაგიეროს უხდის „ქართულ ოცნებას“ იმის გამო, რომ მას საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლეს და იმპიჩმენტის პროცედურა მოუწყვეს. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ისტორიაში პირველი პრეზიდენტია, რომელმაც დაარღვია კონსტიტუცია და ეს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა. ასეთი რამ ჯერ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა და ამ ლაქას ის ცხოვრების ბოლომდე ვერ ჩამოირეცხავს. როგორც ჩანს, ძალიან გამწარებულია ამის გამო და რით უნდა გადაუხადოს სამაგიერო მმართველ გუნდს? - შეუძლია გადაუხადოს იმით, რომ აქვს კავშირები ფრანგულ მედიასთან, მათ შორის, საკუთარი შვილებისა და სანაცნობო წრის მეშვეობით საფრანგეთში. თუ მიაქციეთ ყურადღება, სულ ფრანგულ გამოცემებს აძლევს ინტერვიუებს. ფაქტობრივად, მისი მიზანია, როგორმე დასავლეთი დაარწმუნოს, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსული ინტერესების გამტარებელია და სანქციები უნდა დაუწესონ. - ეს არის მისი გზავნილი. იქიდან გამომდინარე, რომ დასავლეთი სანქციების აზარტშია და მარჯვნივ და მარცხნივ ყველას ასანქცირებს, ვისზეც კი პატარა ინფორმაცია მიუვა. არ არის გამორიცხული, ვინმემ თქვას, მოდი, რადგან ამას ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს, ჩავუჯდეთ ამ საქმეს და მოვიძიოთ საჭირო თემებიო. ჩვენ ვიცით, როგორ ხდება სანქციების დადება. მტკიცებულებების შეკრებით მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ. საკმარისია მედიის განცხადებები, ვითომ საგამოძიებო ჟურნალისტური მასალები, რაც მოსამართლეებთან დაკავშირებით მოხდა და ასე შემდეგ.

პრეზიდენტის ყბადაღებული ინტერვიუ „Le Mond“-თან, რომელმაც ასეთი ეიფორია მოჰგვარა ჩვენს მყაყე ოპოზიციურ „ბაბლს“, არის შეკვეთილი მასალის კლასიკური ნიმუში. ანგაჟირებული ჟურნალისტი ანგაჟირებული შეკითხვებით დაუჯდა კიდევ უფრო მეტად ანგაჟირებულ რესპონდენტს, რომელმაც დასავლეთს გაუგზავნა ის გზავნილი, რითაც მას უკვე დიდი ხანია „ბომბავს“ აქაური ოპოზიცია და მის მიერ ნაყიდი დასავლელი ლობისტები - დაასანქცირეთ ივანიშვილი! ეს იყო შეკვეთის ამოცანაც და მიზანიც.

სალომე ზურაბიშვილი სწრაფი ტემპით ეშვება პოლიტიკურ ჭაობში და ამ ინტერვიუს მერე უფრო ღრმად ჩაეშვა. ვფიქრობ, მას დახმარება სჭირდება, ოღონდ არა ჭაობიდან ამოსაყვანად, არამედ ბოლომდე ჩასაძირად!

**– ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა ნიკა გვარამიას პრესის თავისუფლების საერთაშორისო ჯილდო მიანიჭა. ანუ, ახლა საქართველოში ჟურნალისტიკის „მეტრიც“ გვყავს და უნდა გვიხაროდეს?!**

– ის კრიტერიუმები, რითაც მათ გვარამიას ჯილდო მიანიჭეს, ჩემთვის გაუგებარია. ორგანიზაციის ვებგვერდზე წერია, რომ ამ ჯილდოთი ისინი პატივს მიაგებენ მსოფლიოში უამრავ ჟურნალისტს, რომლებიც მოკლეს, დააპატიმრეს, იძულებით გადაასახლეს, ან თავს დაესხნენ უბრალოდ, თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულების გამო. ახლა თავად განსაჯეთ, რომელი მათგანია აქედან ნიკა გვარამია და ეკუთვნის თუ არა მას ეს ჯილდო. ის არ დაუპატიმრებიათ ჟურნალისტური საქმიანობის გამო, იქით ესხმოდა თავს საზოგადოებას.

ისინი, როგორც ჩანს, სარგებლობდნენ იმ ინფორმაციით, რაც ეგრეთ წოდებული უფლებადამცველებისგან და ოპოზიციასთან აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიიღეს. შესაბამისად, სულაც რომ ათი პრემია მიიღოს გვარამიამ, ამით საკუთარ წარსულს ვერ ჩამოირეცხავს.

## დამიბრუნეთ ჩემი გობორა!

**– რამდენიმე დღის წინ „რადიო თავისუფლებამ“ პატიმარ ლაზარე გრიგორიადისთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის ამბობს, რომ არაფერს ნანობს და თავისი თითოეული საქციელით ამაყობს, მათ შორის, საკუთარ მამასთან დაპირისპირებითაც. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამ ინტერვიუს გამოქვეყნების მიზანი?**

– „რადიო თავისუფლებას“ რომ ჰკითხო, რა იყო ლაზარე გრიგორიადისთან ინტერვიუს მიზანი, წარბშეუხრელად გიპასუხებენ, რომ ჟურნალისტიკის ოქროს წესია, მივცეთ ტრიბუნა ყველას - თუნდაც მარგინალ პერსონებს.

თუმცა, რეალურად, ეს გახლავთ ჩვეულებრივი პროპაგანდისტულ-მანიპულაციური მეთოდი იმისათვის, რომ საზოგადოებაში ახალი ფორმაციის „გმირები“ შემოიყვანონ. რისთვის სჭირდებათ ეს პროპაგანდისტული ფიზკულტურა? - ეს არის საზოგადოების ზომბირების და მისი მანიპულირების მცდელობა, რათა დავიწყოთ ახალი ფასეულობებით ცხოვრება და გრიგორიადისის მსგავსი ხალხი მივიჩნიოთ სამაგალითო ადამიანებად. შეიძლება ცუდად გამომდის, მაგრამ იგივეს ვიტყოდი თამაზ გინტურთან დაკავშირებითაც. უდავოდ ტრაგიკული ფაქტი მოხდა, მაგრამ გინტურის გმირობა რაში მდგომარეობს, მაინც ვერ გავიგე.

ყველამ ვნახეთ ვიდეო, რაც გავრცელდა და მოვისმინეთ ამ ადამიანის მონაყოლი, რომელიც ოკუპანტებმა გაიტაცეს. რომ თითქოს მშვიდობიანად დაშორდნენ ამ რუსს და შემდეგ რუსმა ესროლა. არ ვიცი, იქ რა მოხდა, სავარაუდოდ, რუსმა მესაზღვრემ იფიქრა, სასჯელს მივიღებ საზღვრის დამრღვევები რომ გავუშვიო, გვიან გაიაზრა, რაც გააკეთა და შემდეგ ისროლა.

**– ნამდვილად მძიმეა ამ თემის შეფასება, მაგრამ კიდევ უფრო მტკივნეულია ის ფაქტი, რომ წლები გადის და ამ მხრივ არაფერი იცვლება. მეზობელ სოფელშიც გადასვლაც არ შეუძლიათ ადგილობრივებს ნეთესავის ან წინაპრის საფლავის მოსანახულებლად.**

– მიმძიმს ამაზე საუბარი, მაგრამ, ალბათ, იქაური მოსახლეობა უფრო ფრთხილად უნდა იყოს, რადგან მძიმე მემკვიდრეობა, რაც წინა ხელისუფლებისგან „გვერგო“, გვაყენებს მოცემულობის წინაშე, რომ აქ სადემარკაციო ხაზია და მისი გადაკვეთა პრობლემებს უქმნის ჩვენს მოქალაქეებს. როდესაც იცი, რომ საფრთხე გელოდება და მაინც მიდიხარ, გიღირს საკუთარი სიცოცხლე ამის ფასად? კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო, ხომ გაგიგიათ!

როცა გარკვეულ პროექტებზე ვმუშაობდი, მქონდა შეხვედრები იმ სოფლების მოსახლეობასთან, ვინც უშუალოდ კონფლიქტისპირა სოფლებში ცხოვრობს. ისინი ითხოვდნენ, რომ დააყენონ ვიდეოკამერები ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, რათა ფაქტები დაფიქსირდეს, რომ შემდეგ არ იყოს მითქმა-მოთქმა, ვინ რა გააკეთა და ვინ არის დამნაშავე. ამის გარდა, ჩვენი პოლიციის პოსტები უფრო ახლოს უნდა დადგეს სადემარკაციო ხაზთან, რათა თუ ვინმე გადასვლას მოინდომებს, შეაკავონ და არ გაუშვან. უდიდესი რისკის ქვეშ აგდებენ საკუთარ სიცოცხლეს და მეტი სიფრთხილე მართებთ ადამიანებს.

**– პატიმარ საკაშვილს აქვს მოლოდინი, რომ „ნაცმოძრაობა“ პრემიერ-მინისტრად მას დაასახელებს და პოლიტსაბჭოს კოორდინირებასაც საკუთარ თავზე იღებს. რომელ სამყაროში ცხოვრობს ეს ადამაინი?**

– ეს არის ტიპიური შემთხვევა, როდესაც მარჯვენა ხელმა არ იცის რას აკეთებს მარცხენა ხელი და ძაღლი პატრონს ვერ სცნობს. ისმის კითხვა: ვინ არის დღეს „ნაცმოძრაობის“ მმართველი? ამ მარაზმის შემხედვარე, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერების არასექტანტურ ნაწილს მაინც, ოდნავ ხომ უნდა გაეხსნას გონება და აეხილოს ფართოდ დახუჭული თვალები?!

**ნონა ქარქაშაძე**

# პარლამენტში ოპოზიცია კი არა, ჟურნალის ხულიგნები სხედან

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, ოპოზიციას სტატუსის არმონიჭების შემთხვევაში დაგეგმილი დესტაბილიზაციის გეგმა ჩაეშალა. რა სტრატეგიით წარსდგებიან ამჟამად ავანსცენაზე?**

— ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ ოპოზიცია ქვეყანის შიგნით ხელისუფლებასთან ჯანსაღ ოპონირებას კი არ ცდილობს, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ, მისი იმიჯის დაზიანებას, რეპუტაციის შელახვას ემსახურება, რასაც, სამწუხაროდ, წარმატებით ახერხებს. იმის ნაცვლად, რომ ქვეყანა დადებითი კუთხით წარმოაჩინონ, მას ძირს უთხრიან და საკუთარ სამშობლოს ყველგან ამცირებენ და აკნინებენ. ეს აგენტები თავიანთი პატრონის — დასავლეთის დავალებას პირნათლად ასრულებენ. ჩნდება კითხვა: რა ამოძრავებს დასავლეთს, როცა ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას საკუთარი ქვეყნისთვის ზიანის მიყენების დავალებას აძლევს?! საქმე ის არის, რომ გლობალური ომის პარტია (როგორც მას სავსებით მართებულად უწოდებს ხელისუფლება), იგივე ნეოლიბერალური ძალები ცდილობენ, ხელისუფლება, რომელიც ვერ დაიმონეს, მმართველობას ჩამოაშორონ და ქვეყნის სათავეში ისევ თავიანთი მორჩილი აგენტები — საკაშვილი თავისი „ნაცმოძრაობით“, დააბრუნონ. 2012 წელს დასავლეთი იძულებული გახდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ეღიარებინა, რადგან საკაშვილის სისხლიან რეჟიმს სრულიად ქართველი ხალხი დაუპირისპირდა. დასავლეთი მიხვდა, რომ ხალხის აყოლიებით ამ ხელისუფლებას ვერ ჩამოიშორებდა და სხვა მეთოდებს მიმართა. გადაწყვიტეს, ჩვენი სახელმწიფოებრიობა ჩამოეშალათ — საქართველო უნდა ყოფილიყო წარუმატებელი, მაჩანჩალა, ჩამორჩენილი ქვეყანა, სადაც არც დემოკრატიაა, არც თავისუფლება, სადაც ვითომ არჩევნები ყალბდება, ადამიანის უფლებები ირღვევა და ასე შემდეგ. მთელი თერთმეტი წელი ეგრეთ წოდებული ოპოზიციაც და მისი პატრონებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში ყველაფერი უარესობისკენ მიდის. მიუხედავად ამისა, არჩევნებში ყოველთვის „ქართული ოცნება“ იმარჯვებდა. ამიტომ საჭირო გახდა იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება არჩევნებს აყალბებდა, თუმცა გლობალური ომის პარტიის დაკვეთის გამხმოვანებელი აგენტები — ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ამის მტკიცებულებას ვერ დებდა. ნეოლიბერალური ძალაც მხარს უჭერდა მოსაზრებას, თითქოს აქ დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა. სინამდვილეში, შემდგარ დემოკრატიულ არჩევნებს ჩრდილს აყენებდნენ. ყველას გვახსოვს, როგორ გააყალბა „სამართლიანმა არჩევნებმა“, გარე ძალების დაკვეთით, პარალელური დათვლის შედეგები. მოგვიანებით, ამ ორგანიზაციის მესვეურებმა აღიარეს, რომ იცრუეს და მცდარი დასკვნა დადეს. ამის მიუხედავად, საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები დღემდე „სამართლიანი არჩევნების“ მხარდაჭერასა და დაფინანსებას განაგრძობენ. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ „სამართლიანი არჩევნების“ მხარდამჭერ ორგანიზაციებს მისი სამართლიანობის ხარისხი სულაც არ აინტერესებთ, არამედ ფულს კონკრეტული დავალების შესრულებაში უხდიან.

აი, ასე ხდება გარკვეული სახელმწიფოების გაერთიანება საქართველოს წინააღმდეგ, რათა, ვიმეორებ, ჩვენი სახელმწიფოებრიობა ჩამოშალონ, ხელისუფლება განდევნონ და მის ადგილას თავიანთი აგენტები დააბრუნონ. აი, ამ დავალებას ასრულებს ოპოზიცია, უფრო ზუსტად, კრიმინალური ძალა, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში სისხლისღვრით, ციხეებში პატიმრების გაუპატიურებით, წამებით, ღირსების შემლახავი ქმედებებით, ბიზნესში რეკეტით, საზოგადოების გაკულაკებით გამოირჩეოდა. ამას ემატება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც ხელისუფლების წინააღმდეგ მომჩივანი „ნაცმოძრაობა“ სტრასბურგის გადაწყვეტილებებით ყველა საქმეში გამტყუნდა. ამ მოცემულობაში ვცხოვრობთ. ამიტომ ჩემი და მედიის მთავარი მიზანი სწორედ სიმართლის თქმა და უცხოელი პარტნიორებისთვის ხმის მიწვდენა უნდა იყოს.

აქვე გეტყვით, ხელისუფლების დიდ წარმატებად მივიჩნევ, რომ საქართველოში მეორე ფრონტი არ გავხსენით და რუსეთს ომი არ გამოვუცხადეთ. ასევე, ვერ მიგვაერთეს ისეთ სანქციებს, რაც რუსეთს ვერ დააზარალებდა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკას აუცილებლად ჩამოშლიდა. დღეს გარე მტრების დავალებით, შინაური მტრები ცდილობენ, ხელისუფლება, რომელიც გლობალური ომის პარტიის ყურმოჭრილი მონა არ გახდა, მმართველობიდან ჩამოიშორონ.

**— ოპოზიცია აცხადებს, ევროპის ერთ-ერთი რეკომენდაცია — სამართლიანი არჩევნების ჩატარება, 5%-იანი ბარიერის დაწევას გულისხმობსო. გოცირიძემ ისიც განაცხადა, ოპოზიციამ გაერთიანებაზე უნდა იფიქროს, თორემ კოალიციურ მთავრობას ვერ შეგქმნითო.**

— დავიწყოთ იმით, რომ ვერავინ დამისახელებს კვლევას, რომელიც არჩევნების შედეგებს დაემთხვა. ასეთი კვლევების დროს 3%-იანი ცდომილებაა დასაშვები, აქ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებს კი 30%-იანი ცდომილებები აქვთ. რაც შეეხება 5%-იან ბარიერს, ეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ბარიერი 4% და ზემოთ არის. 4%-ზე დაბალი ბარიერი არსადაა. როცა ხელისუფლებამ ბარიერი დასწია, პარლამენტში საშინელი ბალასტი შეიქმნა, ნულპროცენტიანი პარტიები საკანონმდებლო ორგანოში აღმოჩდნენ. ესენი ქუჩის ხულიგნები არიან. ნულოვანი ბარიერის შედეგად პარლამენტში ისეთი შემადგენლობა მოხვდა, ქუჩასაც კი ჩრდილს რომ აყენებს. ბარიერის დაწევის მიზეზი მრავალპარტიული პარლამენტის შექმნა იყო. მაგრამ ესენი, დიახ, ხულიგნები აღმოჩდნენ, რომლებიც საპარლამენტო საქმიანობას არ ეწევიან. ვერ დამისახელებთ ვერცერთ კანონპროექტს, რომელიც პარლამენტში მათი ინიციირებითაა შესული. მათ კანონებზე არ უმუშავიათ, სამაგიეროდ, მუდმივად ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ. რეალურად ეს საბოტაჟი იყო, რათა პარლამენტს თავის ფუნქცია ვერ შეესრულებინა. ესეც იმ კონტექსტშია, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ — დავალებას ასრულებენ, რათა ქვეყანა დააზიანონ. დღეს ოპოზიცია არ არსებობს, არსებობს მხოლოდ აგენტურა, რომელიც ხელისუფლების კი არა, ქვეყნისთვის ზიანის მიყენებას ემსახურება. ამიტომ, 5%-იან ბარიერს ვემხრობი — რაც ნაკლები ქვეყნის მტერი შევა საკანონმდებლო ორგანოში, მით უკეთესი.

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ რაღაცას ვაპიარებთ და არ ვხსნით იმას, ეს რა შინაარსის მატარებელია. მაგალითად, კანდიდატის სტატუსი ისე გაპიარდა, მთელი საქართველო მის მონიჭებას ითხოვს. თუმცა საზოგადოებისთვის არავის განუმარტავს, რომ ეს ცარიელი სიტყვებია, არანაირი პრივილეგია არ გვეძლევა არც ფინანსური და არც სხვა კუთხით. ასევეა კოალიციური მთავრობის შემთხვევაშიც — ვინმემ იცის, რა შედეგებს მოუტანს ეს ქვეყანას? ან რა პრობლემების წინაშე არიან ქვეყნები, სადაც ასეთი მთავრობები არსებობს! საზოგადოებამ იცის იმის შესახებ, რა მოხდება, კოალიციური მთავრობიდან რომელიმე ერთი პარტია რომ გაიბუტოს? — მთელი პარლამენტი ჩამოიშლება და ხელახალი არჩევნები უნდა შედგეს. ასეთი მექანიზმი ჩვენი მოღალატე ოპოზიციის ხელში ხომ ავტომატურად სახელმწიფოებრიობის ჩამოშლას ნიშნავს!!! და მერე წელიწადში ორ-სამჯერ არჩევნები უნდა ჩაატარო. ამას საქართველოს ბიუჯეტი გაუძლებს? ჩვენ ისრაელი ხომ არ ვართ. კოალიციური მთავრობის შემთხვევაში, ოპოზიციამ რომელიმე მინისტრს თანამდებობაზე უარი რომ ათქმევინოს, საქართველოს წელიწადში რამდენჯერმე მოუწევს არჩევნების ჩატარება, რასაც ვერც ბიუჯეტი გაუძლებს და სახელმწიფოც ჩამოიშლება. ჯერ უნდა შევთანხმდეთ, როგორი კოალიციური მთავრობა გვეყოლება. ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს. ან ისეთი კანონმდებლობა უნდა მივუსადაგოთ, რომ ის არ მოხდეს, რაც ისრაელში, იტალიაში ყოველწლიურად ხდება. ქართული საზოგადოება ბევრი რთული გამოწვევის წინაშეა. ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდივართ. გაიმარჯვებს ის, ვინც ძლიერია. ამიტომ ჩემს როლს იმაში ვხედავ, რომ საზოგადოებას სიმართლე ვუთხრა. პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ხალხის ინტერესებზე არ ფიქრობს.

**— ყოველ არჩევნებზე ოპოზიცია შედეგებს წინასწარ აპროტესტებს. ახლა ამბობენ, ელექტრონული სისტემა გაყალბების მექანიზმიაო. აქვე, ისიც დაამატეს: არჩევნები ლეგიტიმური არ იქნება, სანამ მიშა ციხეშიაო. თავად სააკაშვილმა კი ერთობის მანიფესტი შექმნა და 23 ნოემბერს პარტიის წევრები „ტრაქტატს“ ხელს მოაწერენ. ვინც ამას არ გააკეთებს — პარტიიდან გაირიცხება.**

— სააკაშვილი არის თაღლითი, რაც უკვე ყველასთვის ნათელია. მან დაამარცხა დემენცია, კახექსია, დედამიწაზე არსებული ყველა დაავადება, დღეს ჯანმრთელია და პრემიერობისთვისაც კი ემზადება ისე, რომ საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს. უკრაინის მოქალაქეს უფლება არ აქვს, ამ მასშტაბით ქვეყნის პოლიტიკაში ჩაერიოს. უფლის შეწევნით ამ უბედურებას დავძლევთ და იმ გზას დავადგებით, რაც ქვეყანას წინ წასწევს.

**— რამდენიმე დღის წინ ამერიკის ელჩმა ტელევიზიებს ინტერვიუ მისცა. რა მოლოდინები გაქვთ?**

— ახალი ელჩიც იმ პოლიტიკას აწარმოებს, რა დაკვეთაც თეთრი სახლიდან აქვს. გვარ-სახელებით არაფერი იცვლება. მთავარია, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება თეთრ სახლში შეიცვალოს და მომხმარებლური ხასიათის აღარ იყოს. ოღონდ ჩვენი ქვეყანა სათავისოდ გამოიყენონ და თუნდაც ერთ დღეში გავერანებულა, რუკიდან გამქრალა, ამას არ ჩივიან. ამერიკაში უნდა მიხვდნენ, რომ მათ არა ჩამოშლილი, დანგრეული, თავზე ბომბებდაყრილი, ცეცხლმოდებული, არამედ პარტნიორი, მოკავშირე, შემდგარი, ძლიერი საქართველო უნდა აწყობდეთ. თუ 2024 წლის არჩევნების მერე ამერიკაში ამ განწყობების ადმინისტრაცია მოვა, აქ დეგნანი იქნება, დანიგანი თუ სხვა, მნიშვნელობა არ აქვს. დეგნანი ან დანიგანი კი არა, ამერიკის ადმინისტრაციაა შესაცვლელი, რომელიც იმაზე იფიქრებს, რომ ამერიკის ინტერესებს საქართველო არ შესწიროს. ამერიკის ინტერესებში ძლიერი საქართველო უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, არჩევნების შემდეგ აშშ-შიც შეიცვლება ანტიამერიკული მმართველობა, რომელიც დღეს არის. რასაც დღეს ბაიდენის ადმინისტრაცია საკუთარ ქვეყანაში აკეთებს, ეს არც ამერიკის ინტერესებში შედის.

თამარ შველიძე

# დრო, დავიწყოთ მშვიდობიანი მოლაპარაკება აფხაზ და ოს ძმებთან

**„ომები უნდა დასრულდეს დედამიწაზე. ყველანაირი საკითხი მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს და ჩვენც უნდა დავიწყოთ ნელ-ნელა მოლაპარაკება აფხაზ და ოს ძმებთან," - ამის შესახებ საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი „საერთო გაზეთთან" საუბრობს. მისი თქმით, ყარაბაღში მცხოვრებმა 1000-ზე მეტმა სომეხმა უკვე მოაწერა ხელი აზერბაიჯანის მოქალაქეობას და ვისაც ამის სურვილი აქვს, შეუძლია დაბრუნდეს ყარაბაღში.**

პირველ რიგში, მინდა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მივულოცო იმ საოცნებო მიზანთან მიახლოება, რასაც ევროპულ ოჯახში გაწევრიანების შესაძლებლობა ჰქვია და რის გამოც, თაობები წლებია, იბრძვიან. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა და იმედია, მალე ის დღეც დადგება, როცა ჩვენი ქვეყანა დიდი ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი გახდება.

პოლიტიკა ისეთი საქმეა, რასაც მარგინალები არც თუ იშვიათად, პირადი კეთილდღეობისთვის, ფუფუნებისთვის და კარიერის ასაწყობად იყენებენ და ავიწყდებათ, რომ ისინიც ამ ქვეყნის შვილები არიან. მრავალი ასეთი მაგალითის მოწმე გავხდით წლების განმავლობაში, როცა ადამიანები ყველაფერს ანგრევენ პირადი ინტერესების გამო და ყველა ბინძურ მეთოდს იყენებენ, თუნდაც ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. მათგან აღარაფერი გვიკვირს, თუმცა, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ დღეს საქართველო ომის ქარცეცხლში იქნებოდა გახვეული, ასეთი ძლიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრემიერ-მინისტრი რომ არ გყოლოდა.

რადიკალებისგან არაფერია მოულოდნელი, მაგრამ მიკვირს, ამდენი ადამიანი როგორ შევცდით და ეს ქალბატონი, სალომე ზურაბიშვილი ჩვენი ქვეყნის სახედ როგორ წარვადგინეთ! ვფიქრობდით, რომ მისი ქართული წარმომავლობა და ევროპული გამოცდილება ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებოდა, მაგრამ სწორედ აქ შევცდით. იმის გარდა, რომ მან „ფეხებზე დაიკიდა" საქართველოს კონსტიტუცია, ფაქტობრივად, დაუმორჩილებელიც გახდა. სამწუხარო კი ის არის, რომ ამ „შანტაჟისტებთან" ერთად, ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამოდის, მის წინააღმდეგ იბრძვის და ცდილობს, მსოფლიოს თვალში ამ უდიდესი ქველმოქმედის რეპუტაცია შელახოს. მას რომ თავმოყვარეობა ჰქონდეს, ბატონი ბიძინას სახელსაც არ ახსენებდა, ისე ჩუმად აბრძანდებოდა იმ სავარძლიდან და დატოვებდა თანამდებობას მას შემდეგ, რაც საკუთარმა ამომრჩეველმა კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა და იმპიჩმენტისთვის გაწირა.

**- ბატონო ალი, საქართველო ერთგვარი მედიატორის როლს ასრულებს კავკასიური სამეულის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარების პროცესში. საინტერესოა, რა შედეგი გამოიღო შერიგების მცდელობამ, რა მდგომარეობაა ახლა ყარაბაღში?**

- დღევანდელი მონაცემებით, ყარაბაღში მცხოვრებმა 1000-ზე მეტმა სომეხმა უკვე მოაწერა ხელი აზერბაიჯანის მოქალაქეობას. ვისაც ამის შემდეგ კიდევ გაუჩნდება სურვილი, მიიღოს აზერბაიჯანის მოქალაქეობა, შეუძლია დაბრუნდეს ყარაბაღში, ქალაქსა თუ სოფელში და ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რასაც აზერბაიჯანი თავის მოქალაქეებს სთავაზობს.

ცოტა ხნის წინათ, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საქართველოში იმყოფებოდა, აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, ძალისხმევას არ იშურებს, რათა რეგიონში მშვიდობა იყოს. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება იქნება ისტორიული ფაქტი და რაოდენ საამაყოა, თუკი ეს თბილისში მოხდება. ამ საქმეში ჩარეული არიან ამერიკის სახელმწიფო მდივანი და საფრანგეთი, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ეს ხელშეკრულება გადაიდოს, მაგრამ სომხებმა იციან, ერთადერთი გზა მათთვის არის ის, რომ მოეწეროს ხელი მშვიდობიან ხელშერულებას საქართველოში და რეგიონში იყოს მშვიდობა, გაიხნას კორიდორი, შედგეს ქვეყნებს შორის კომუნიკაცია... როგორც ილჰამ ალევმა თბილისში განაცხადა, მივცეთ საშუალება ინვესტორებს, რომ გლობალური მნიშვნელობის პროექტები, რომლებიც ხორციელდება აზერბაიჯანსა და საქართველოში ევროპის მიმართულებით, განხორციელდეს სომხეთშიც და სომხეთმაც შეიტანოს თავისი წვლილი რეგიონის განვითარებაში. ჩვენ შეგვიძლია გავერთიანდეთ და გვქონდეს საერთო ბაზარი, საერთო სავაჭრო სივრცე, ენერგეტიკული თუ ბუნებრივი რესურსი, ვაწარმოოთ თითოეულმა ქვეყანამ ის, რისი წარმოებაც შეგვიძლია... ეს ყველაფერი გააძლიერებს ქვეყნების ეკონომიკას და სამხრეთ კავკასია გახდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რეგიონი.

**- როგორ გესახებათ საქართველოს როლი სამხრეთკავკასიური სამეულის ქვეყნების განვითარების მიმართულებით?**

- უმნიშვნელოვანესია საქართველოს როლი კავკასიური სამეულის ქვეყნებში და ეს ძალიან კარგად აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრს გაცნობიერებული. რაოდენ დასაფასებელი და საამაყო ფაქტია თუნდაც ის, რომ ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საქართველო, როგორც მშვიდობისმყოფელი ქვეყანა, მედიატორის როლს ასრულებს. ირაკლი ღარიბაშვილი არის ძალიან პრინციპული, ეროვნული ადამიანი, ქვეყნის პატრიოტი. როგორც აზერბაიჯანელი, როგორც მუსულმანი ვაცხადებ, რომ ეს ადამიანი პატივს სცემს არამხოლოდ თავის სარწმუნოებას, ასევე სხვა ხალხების სარწმუნოებასაც, რაც არაერთხელ ვნახეთ. ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან, ირაკლი ღარიბაშვილი თავს არ ზოგავს იმისთვის, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი გახდეს. მისი წყალობით გვაქვს უვიზო ხელშეკრულება ევროპულ ქვეყნებთან, მისი წყალობით შეიძინა ქვეყანამ ბევრი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი, რასაც გაცილებით დიდმა ქვეყნებმაც კი ვერ მიაღწიეს... ყველაფერი, რაც საქართველოს ევროპასთან აკავშირებს, ამ ადამიანის ხელმოწერითაა დადასტურებული. პირველად სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის ჩარევით დააბრუნეს აზერბაიჯანელებმა 15 სომეხი მძევალი და სანაცვლოდ, დანაღმული ტერიტორიების რუკა მიიღეს. ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურება იყო, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა პირველად სწორედ საქართველოში შედგა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქვეყანასა და რეგიონში სტაბილური სიტუაცია იყოს. მშვიდობა თუ არ იქნება, ის უმნიშვნელოვანესი პროექტებიც ვერ განხორციელდება, რომელიც ჩინეთიდან, ევროპიდან მოდის... რაც თუნდაც „აბრეშუმის გზის ფორუმის" ფარგლებშია გათვალისწინებული. სატრანზიტო მიმართულებების, სამხრეთ-კავკასიური დერეფნის განვითარება... ყველა ეს სიკეთე მშვიდობასა და ქვეყნის სტაბულურ განვითარებაზეა დამოკიდებული. თუ სტაბილურობა არ იქნება, არცერთი ინვესტორი არ შემოვა და არც არავის ექნება საქართველოსთან პარტნიორული თანამშრომლობის სურვილი.

ჩვენ ვნახეთ ძმათა ომი 1990-იან წლებში, ვნახეთ სამოქალაქო ომი, დავკარგეთ ტერიტორიები შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, რასაც შემდეგ სააკაშვილის მიერ გასხვისებული ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი დაემატა. 2012 წლიდან დღემდე კი საქართველოს არაფერი დაუკარგავს, მხოლოდ შეიძინა - უამრავი მეგობარი და პარტნიორი. ერთი ეს არის, რომ ქვეყნის შიდა დესტრუქციული ძალები გვებრძვიან, მაგრამ ხომ ხედავთ, მათაც არაფერი გამოსდით. ის ადამიანებიც კი, ვინც აქამდე ოპოზიციის გულმხურვალე მხარდამჭერები იყვნენ, დღითიდღე კარგავენ მათ ნდობას და ხედავენ, რომ ესენი არიან ქვეყნის მტრები! ჩვენს მიტინგებზე 200-250 ათასამდე ადამიანი გამოდიოდა და ესენი ფულით 500 კაცსაც ვერ აგროვებენ. იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძოდით რეჟიმის წინააღმდეგ, ესენი კი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იბრძვიან.

ჩვენ არ გვინდა მსგავსი უბედურება, რაც ახლა უკრაინაში ხდება, არ გვინდა ის, რაც ხდება პალესტინასა და ისრაელს შორის, რამდენი ბავშვი და ქალი იხოცება, რამდენი მშვიდობიანი მოსახლე იღუპება... ჩვენ ვნახეთ 2008 წელს, ომის დროს, როგორ გარბოდნენ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები წითელ ხიდზე და სადახლოს საზღვრებით და დღეს ესენი მოგვიწოდებენ ჩვენ „გმირობისკენ"... არ გვინდა, რომ ეს უბედურება ხალხმა კიდევ გადაიტანოს, ჩვენ გვინდა ყველასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში - ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

**- რუსეთსა და უკრაინას შორის ომი წარმოუდგენლად გაგრძელდა და ჯერაც არ იციან, როდის დასრულდება. ამ დღეებში კი კიდევ ერთი ქართველი ჩამოასვენეს, რომელიც უკრაინის ომში იბრძოდა...**

- უკვე საქართველოს 40-მდე მოქალაქე დაიღუპა უკრაინაში, თუ არ ვცდები... მოვა დრო და ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი. ისტორია გამოუტანს განაჩენს უკრაინის პრეზიდენტს და მიუჩენს მას საკადრის ადგილს. ომი შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, თუ, რა თქმა უნდა, უკრაინა ზელენსკის პოლიტიკას გააგრძელებს. სხვათა შორის, მისი გუნდის წევრები არიან ჩვენი „ნაცმოძრაობის" კრიმინალები, რომლებიც ხოცავდნენ, ბიზნესს ართმევდნენ და აწიოკებდნენ ადამიანებს საკუთარ ქვეყანაში. ახლა სწორედ მათ ეკითხება ჭკუას ზელენსკი და უფლებას აძლევს ჩაერიონ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში...

ომის დასრულების ერთადერთი საშუალება არის, რომ დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, რაღაც დათმოს როგორც ერთმა, ასევე მეორე მხარემ და სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერონ ხელი. რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო ბაზა აქვს და ატომური შეიარაღებით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამ ქვეყანასთან ბრძოლამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა უკრაინას, რომელიც თავისი სიმდიდრით მეორე ქვეყანა იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის... დღეს უკრაინა განადგურებულია, ამერიკამ ის დახმარებაც შეუჩერა, რასაც ზელენსკი ითხოვდა. ასევე, უარი თქვა უნგრეთმა მათ დახმარებაზე. ჯერ კიდევ ამ ომის დაწყებამდე ვამბობდი, რომ ზელენსკი არ არის პოლიტიკოსი. პოლიტიკოსი უნდა პოლიტიკოსობდეს და „კლოუნი" უნდა „კლოუნობდეს" - რაც უკვე დამტკიცდა!

**- ბატონო ალი, თქვენ გეცოდინებათ რიგითი აზერბაიჯანელების განწყობა სომხების მიმართ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, ამ ორ ერს შორის ახლო მომავალში დაძაბულობა მოიხსნას და ურთიერთობა დათბეს?**

- სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ყოველთვის იყო დაძაბულობა და ეს პირველი შემთხვევა არ არის. ისტორიიდან ვიცით, რომ 1946 წელს, 1952 წელს და ბოლოს 1988-1989 წლებში, მთლიანობაში, სომხეთიდან დევნილი 350 ათასი აზერბაიჯანელი გვყავს. ოფიციალური სტატისტიკით კი 26 ათასი სომეხი ცხოვრობს დღესდღეობით აზერბაიჯანში და არავითარი საფრთხე ამ ადამიანებს არ ემუქრებათ. ჭკვიანმა ხალხმა იცის, რომ პოლიტიკური თამაშებია და პოლიტიკოსთა სინდისზეა ეს ყველაფერი, ხალხი კი საერთო ენას ყოველთვის გამონახავს.

როგორც საქართველოში, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანშიც არის დაჯგუფებები, რომლებიც მშვიდობას ეწინააღმდეგებიან, რომლებსაც არ უნდათ ქვეყნის სტაბილური განვითარება. თუმცა, იმედია, მათ ბოროტ ზრახვებს ასრულება არ უწერია. წინააღმდეგობების მიუხედავად, ილჰამ ალიევის სუვერენული პოლიტიკით ყარაბაღის საკითხი დადებითად გადაწყდა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია არამხოლოდ აზერბაიჯანისთვის, არამედ სამხრეთკავკასიური ქვეყნების ინტეგრაციისთვის, მათი ერთობისთვის.

ხალხი, პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს, რა უნდა, მშვიდობა თუ - ომი! თუ მშვიდობა უნდათ - ჩვენ გვერდით დადგნენ, თუ ომი უნდათ - წავიდნენ და გადაიჩეხონ ისე, რომ სხვას ხელი არ შეუშალონ. ომები უნდა დასრულდეს დედამიწაზე. ყველანაირი საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და, რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა დავიწყოთ ნელ-ნელა მოლაპარაკება აფხაზ და ოს ძმებთან, სხვა გზა არა გვაქვს! ძალიან ბევრი აფხაზის სურვილია, ერთად ვიცხოვროთ. ბევრი ოსის სურვილია, ერთად ვიცხოვროთ. ჩვენი სურვილი ხომ - არის და არის! ამიტომაც, ყველაფერი მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარდეს. მშვიდობას ვუსურვებ როგორც საქართველოს, ასევე რეგიონს და მთელ მსოფლიოს!

**ნონა ქარქაშაძე**

# ოპოზიციის ცრუ ინფორმაციების არც ჩვენთან და არც უცხოეთში აღარავის სჯერა

*გვესაუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე*

**— ბატონო გრიგოლ, ახლახან ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, აქაური ოპოზიცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერის დაწევაზე ალაპარაკდა. როგორ შეაფასებთ მათ ამ მოთხოვნას?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ოპოზიციას იმედი ჰქონდა, რომ ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსზე უარს ეტყოდნენ, რასაც ისინი სათავისოდ გამოიყენებდნენ და მთავრობის გადაყენების მოთხოვნით არეულობებს მოაწყობდნენ. ახლა, როგორც იტყვიან, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. საარჩევნო ბარიერის დაწევა დღემდე არ გახსენებია აქაურ ოპოზიციას, არც მათ მიერ გაზაფხულზე არეულობის მოწყობის შემდეგ და არც ზაფხულში. მხოლოდ ახლა შემოაგდეს ბარიერის დაწევის თემა, რადგან ზამთრის არეულობის მოწყობა ჩაეფუშათ. როგორც თავად იპოზიცია აცხადებს, მათ ხალხის, ამომრჩევლის იმედი არ აქვთ, რომ საჭირო რაოდენობის ხმებს მიიღებენ და 5%-იან ბარიერს გადალახავენ. ამიტომ უნდათ, რომ 1-2- პროცენტამდე დაიწიოს ბარიერმა. ასეთ შემთხვევაში როგორღაც მოახერხებენ პარლამენტში შეღწევას. წინასაარჩევნოდ ხალხს ბევრ სიკეთეს დაჰპირდებიან, მაგრამ არაფერს გააკეთებენ. თუმცა, ვის უნახავს მათ მიერ გაკეთებული სასიკეთო საქმე. ოპოზიციას იოლი გზით და დაბალი ბარიერის მეშვეობით უნდა პარლამენტში შესვლა, თორემ, როგორ შეიძლება, ამომრჩევლის ნდობა დაიმსახურონ ისეთმა ურეიტინგო, ქვეყნის მოძულე პარტიებმა, როგორებიც „რესპუბლიკელები“, „გირჩი“ და მათი მსგავსნი არიან. მოსახლეობა კარგად ხედავს, ვის უნდა რეალურად ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა. ამიტომ ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას არანაირი შანსი არ გააჩნია, პარლამენტში არჩევნების გზით შევიდეს.

**— რამდენად ჯდება სამართლებრივ ჭრილში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერის დაწევა?**

— საარჩევნო ბარიერს საკანონმდებლო ორგანო ადგენს. ახლა მოქმედ პარლამენტზეა დამოკიდებული, დაჰყვებიან თუ არა ოპოზიციის მოთხოვნას და დაწევენ ბარიერს, თუ ძალაში დატოვებენ 5%-ს. ნებისმიერი კანონი პარლამენტმა უნდა მიიღოს, მათ შორის, საარჩევნო ბარიერის შესახებაც. ვნახოთ, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც, რატომ არის ოპოზიცია უკმაყოფილო ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭების რეკომენდაციით?**

— ოპოზიციის მთავარი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა და იმ შავბნელი საქმეების დასრულებაა, რაც სააკაშვილის ნაცრეჟიმის პერიოდში ვერ მოასწრეს. განსაკუთრებით ნაცები აქტიურობენ, ოპოზიციის უმრავლესობა ხომ დანაშავე პარტიის წევრები არიან. რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელს დაარქმევენ, იდეოლოგიურად ნაცრეჟიმის წევრები არიან. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პერსპექტივა, კვლავ დარჩეს ხელისუფლებაში, სოლიდურად იზრდება, რაც კარგად გამოჩნდა ახლახან ჩატარებულ გამოკითხვებშიც. ამიტომ არის გაღიზიანებული ოპოზიცია, რომლის ცრუ ბრალდებების და ინფორმაციის აღარავის სჯერა ჩვენს ქვეყანაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოეთშიც.

**— ოპოზიციის გარდა, მმართველ პარტიას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც აქტიურად დაუპირისპირდა. რამდენიმე დღის წინათ ფრანგულ გამოცემა „ლე მონდთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად მოიხსენია, თუმცა მას თანამდებობა არ უკავია ხელისუფლებაში.**

— ქალბატონი პრეზიდენტი ილუზიებშია. მას მართლა ჰგონია, რომ მოსახლეობის 65% უჭერს მხარს. იმ ხალხს, ვინც რეალურად მოაგებინა არჩევნები და პრეზიდენტად გაიყვანა, ლანძღავს. ნამუსი რომ ჰქონდეს, თავად უნდა გადამდგარიყო თანამდებობიდან. სწორედ იმათ აკრიტიკებს, ვინც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებს. იურიდიულადაც როგორ შეიძლება ბატონ ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქი უწოდოს პრეზიდენტმა, როდესაც, როგორც თქვენ თქვით, არანაირი თანამდებობა არ უკავია. უფრო მეტიც, საერთოდ არ ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და უკვე რამდენი ხანია, საჯაროდაც არ გამოჩენილა.

ქალბატონი სალომე ოპოზიციის პრეზიდენტად გადაიქცა, მათ უჭერს მხარს, ვისაც ზიანის მოტანის გარდა ქვეყნისთვის არაფერი კარგი არ გაუკეთებია. უცხოეთში მისი ვოიაჟები ქართული ანდაზით შეიძლება შეფასდეს: „გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა“.

**— ბატონო გრიგოლ, საზოგადოებაში საუბრობენ, რომ შესაძლოა, პრეზიდენტმა სააკაშვილი შეიწყალოს. როგორ ფიქრობთ, გაბედავს ზურაბიშვილი თავისი წინამორბედის შეწყალებას და გათავისუფლებას? მითუმეტეს ახლა როცა სააკაშვილმა განაცხადა: ზურაბიშვილს ერთი ხელის მოწერით შეუძლია დაუბრუნოს ჩემს შვილებს მამა.**

— საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად იზრდება ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის მხრიდან სააკაშვილის შეწყალების რისკფაქტორი. მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩავარდა, მაგრამ თუ გაბედავს და მართლაც შეიწყალებს სააკაშვილს, ადვილი შესაძლებელია, დადგეს ზურაბიშვილის სამართლებრივი დევნის საკითხი. ამაზე მინიშნებით განაცხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. თუმცა ქალბატონმა სალომემ უპასუხა, პროკურატურით ვერ შემაშინებთო.

სააკაშვილის შეწყალებას ხელისუფლება ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება დათანხმდეს — თუ ევროკავშირი წევრობის სანაცვლოდ დაჟინებით მოითხოვს მის გათავისუფლებას. ამით მმართველი პარტია გაანაწყენებს საკუთარ ამომრჩეველს, განსაკუთრებით მათ, ვინც ნაცრეჟიმის დროს დაზარალდა. აქედან გამომდინარე, რთული სიტუაცია შემქმნება. თუმცა, დაველოდოთ და დავაკვირდეთ პროცესების განვითარებას. საერთოდ კი, საინტერესოა, რა ბზიკი კბენთ ამ პრეზიდენტებს ისეთი, რომ ჭკუიდან გადაყავს ისინი.

**— არ შეიძლება არ გკითხოთ, ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის გამონათქვამზე, რომელმაც ხელისუფლება რუსთაველის პროსპექტის დაგეგმილი რეაბილიტაციის გამო გააკრიტიკა, ოპოზიციას საპროტესტო გამოსვლების შესაძლებლობას ართმევსო. რას ნიშნავს მისი გამონათქვამი?**

— რა ინფორმაციასაც აწვდის ოპოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათი ზოგიერთი წარმომადგენელი, უფრო ზუსტად, ნაცრეჟიმის ლობისტები იმას იმეორებენ. ევროპარლამენტარმა, ალბათ, არ იცის, რომ თბილისში უამრავი ადგილია, სადაც ნებისმიერი აქციის გამართვა შეიძლება. აქ საინტერესოა, რატომ უნდათ, მაინცდამაინც რუსთაველის პროსპექტზე გამართონ აქციები? იმიტომ ხომ არა, რომ პარლამენტის შენობის ბლოკირება მოახდინონ, შემდეგ შიგნით შეიჭრან, არეულობა მოახდინონ და ხელისუფლება ძალისმიერად შეცვალონ? ოპოზიცია ამის განხორციელებას ვერ შეძლებს, მაგრამ ღირს ამ საკითხზე დაფიქრება. გაზაფხულზე ვნახეთ უკვე მაიდნის გამეორების მცდელობა თბილისში, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის ჰუმანურობას იჩენს.

**— კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია კი გასცა ევროკომისიამ, მაგრამ იქვე გვითხრეს, რამდენიმე პუნქტი გაქვთ შესასრულებელიო. ამ დროს ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, უკრაინას უკვე ვალდებულებების 90% ჰქონია შესრულებული...**

— რომელი ვალდებულებები შეასრულა? ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უკრაინის ხელისუფლებამ ვერ შეინარჩუნა, ქვეყანა სისხლისმღვრელ ომშია ჩართული. თუ იმას ჰქვია ვალდებულების შესრულება, ხელისუფლების მაღალჩინოსნები მილიარდერები რომ გახდნენ, ვერ გეტყვით. საქართველომ, პატარა ქვეყანამ გაცილებით უკეთესად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ვიდრე დიდმა უკრაინამ.

**— დაბოლოს, თქვენი აზრით, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს?**

— სტატუსის მოცემა-არმოცემა ქვეყნის შინაურ პოლიტიკაზე გარკვეულწილად იქონიებს გავლენას. ვიყოთ ოპტიმისტები, იმედი ვიქონიოთ, რომ სტატუსს მივიღებთ. მით უფრო, ევროკავშირი რუსეთთან დაპირისპირებულია და მის ჯინაზე მოგვანიჭებენ სტატუსს. თუმცა კარგად უნდა დავფიქრდეთ და გავიანგარიშოთ, რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას და ხალხს სტატუსის მონიჭება.

ბოლოს მინდა მოგილოცოთ თქვენი გაზეთის თანამშრომლებს და სრულიად საქართველოს გიორგობის დღესასწაული და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება გისურვოთ.

**გია ბურდული**

**არ ინერვიულო, მოაწერს ხელს!**

# ბინიდან იმ ადამიანების გამოსახლება გამარტივდება, რომლებიც მეპატრონეს ქირას არ უხდიან

როგორც აღმოჩნდა, იუსტიციის ახალგაზრდა მინისტრს, ბატონ რატი ბრეგაძეს ავის მოსურნენი მრავლად ჰყავს, მიშას ფაქტორის გამო ბევრჯერ დაუმსახურებელი შეურაცხყოფაც მიაყენეს, სასამართლოს მიერ მიღებულ კანონს როგორ ასრულებო, მაგრამ ვერ უთითებდნენ იმ სამრთლებრივ არგუმენტს, კანონის წინაშე სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო.

მაგრამ, მიუხედავად წინააღმდეგობისა, მინისტრი მოქალაქეთა საკეთილდღეოდ ბევრ ინოვაციურ პროექტზე ფიქრობს და ახალ საკანონმდებლო პროექტებს აანონსებს.

ამჟამად ბინის ქირავნობის თემას შევეხებით, იმ აქტუალურ პრობლემას, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად აწყდება

ბოლო წლებში მიღებული კანონმდებლობით, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ბინებიდან იმ ადამიანების გამოსახლება, რომლებიც მეპატრონეებს ქირას არ უხდიან. სასამართლო დავები ხშირად დროშია გაწელილი და მთელი ამ ხნის განმავლობაში ირღვევა ბინის მესაკუთრეების უფლებები. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, **სამინისტრო მუშაობს ინიციატივაზე, რომელიც გაამარტივებს ბინიდან იმ ადამიანების გამოსახლებას, რომლებიც მეპატრონეს ქირას არ უხდიან.**

„ეს არის ძალიან დიდი პრობლემა. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანმა გააქირავა ბინა და მოქირავნე აღარ გამოდის... არც ფულს უხდიან, არც იქიდან გამოდიან, ეს არის პრობლემა, რომელიც უკავშირდება საკუთრების ფუნდამენტურ უფლებას“, — თქვა რატი ბრეგაძემ პარლამენტში სტუმრობისას.

მანვე აღნიშნა, რომ სასამართლო განხილვები, რომლებიც ბინიდან დამქირავებლის გამოსასახლებლად იმართება, რამდენიმე თვე გრძელდება და ამ დროის განმავლობაში მესაკუთრის უფლებები იზღუდება. მინისტრის თქმით, აქვთ ინიციატივა, რომელიც ამ პროცესს გაამარტივებს.

„მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა, ქირავნობის ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, სადაც მითითებული იქნება, რომ თუკი მოქირავნე არ შეასრულებს ვალდებულებას და არ გადაიხდის თანხას, მის გამოსახლებას განახორციელებს აღსრულების ბიურო და ამ შემთხვევაში დაცული იქნება მესაკუთრის უფლებები. ეს მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და ამაზე მხარეები წინასწარ იქნებიან შეთანხმებულები“, — აღნიშნა მინისტრმა.

რატი ბრეგაძის განცხადებით, შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტს უახლოეს მომავალში წარუდგენენ. დოკუმენტში იქნება აღნიშნული, რა დაუჯდება ბინის გამქირავებელს ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება. თუ იუსტიციის მინისტრი ამ ინიციატივას მიჰყვება, შესაძლოა, საკანონმდებლო ლაბირინთში აღმოჩნდეს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ნებისმიერ კანონს თაღლითური ჯგუფები კარგად ირგებენ. თუ ქირავნობის ხელშეკრულებაში ჩაიწერება, რომ მქირავებელი თანხის ვერ გადახდის შემთხვევაში პირდაპირ აღსრულების ძალით გამოსახლდება, ეს ვერაფერი შედეგის მომტანი ვერ იქნება, რადგან აღსრულებაც კი დიდ დროსთან არის დაკავშირებული, რაც წლების განმავლობაშიც კი გრძელდება.

პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებით, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც მხარეს, დაინტერესებულ პირს, მათ შორის ე. წ. თაღლით მქირავებელსაც კი უკრძალავს ხელშეკრულების გასაჩივრების უფლებას, შეეწინააღმდეგება კონსტიტუციას და სწორედ ამ მოსაზრებების გამო, ახალი კანონის წყალობით, სასამართლოები აივსება ერთგვაროვანი სარჩელებით, რაც უფრო გაართულებს დავის მოგვარების ვითომ მარტივ ხერხს. კანონით, მანიპულატორ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს, შეაჩეროს განჩინებით ნებისმიერი პირის მოქმედება. ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა, ისეთ მოდელზე გვემუშავა, სადაც ორივე მხარის ინტერესები იქნებოდა მიღწევადი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაახლოებული. რა თქმა უნდა, იუსტიციის მინისტრი წუხს დედაქალაქში ბინის ქირავნობასთან დაკავშირებული თაღლითური სქემების გამო, რომელთაც უბრალო მესაკუთრის ინტერერესები ეწირება, მაგრამ კანონის მიღებამდე მეტი დაფიქრებაა საჭირო!

გვახსოვდეს, რომ „ნიჭიერ“ თაღლითებს საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენა და კანონით მანიპულაცია არ უჭირთ!

**ლევან ჭილლაძე**

Mzia Saganelidze (RFE/RL)

# ისტორიული შეხვედრა სან-ფრანცისკოში

მსოფლიოს პოლიტიკოსების ყურადღება გასულ კვირას აშშ-ისკენ იყო მიპყრობილი, სადაც აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტი გაიმართა. ერთი შეხედვით, ეს შეკრება რიგითი მოვლენაა, რომელიც ყოველწლიურად იმართება და, ძირითადად, ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ. წლევანდელ სამიტს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, რადგან აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჩინეთის მმართველთან სი ძინპინთან პირისპირ შეხვედრას გეგმავდა. თუმცა წინასწარ უცნობი იყო, ჩავიდოდა თუ არა ჩინეთის მეთაური აშშ-ში, სადაც ექვსი წელი არ იყო ნამყოფი.

სამიტს სან-ფრანცისკო მასპინძლობდა. ცენტრს, სადაც სამიტი იმართებოდა, რკინის მაღალი ღობე შემოავლეს გაუთვალისწინებელი მოვლენებისგან თავის დაზღვევის მიზნით. თუმცა ჯო ბაიდენისა და სი ძინპინის შეხვედრა სან-ფრანცისკოდან 40 კმ დაშორებით მდებარე პატარა მყუდრო ქალაქში შედგა. აღსანიშნავია, რომ თავისი პირველი უცხოური ოფიციალური ვიზიტი სი ძინპინმა 1985 წელს სწორედ სან-ფრანცისკოში განახორციელა... სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს თბილად შეხვდა.

განსახილველი საკითხები ორივე მხარეს ბევრი ჰქონდა. თავდაპირველად მხარეებმა გაფართოებული დელეგაციების თანდასწრებით გამართეს მოლაპარაკება. ორივე ქვეყნის მეთაურმა მისასალმებელი სიტყვა (რაც პრესისთვის არის გათვალისწინებული) წინასწარ დაწერილი „შპარგალკიდან“ წაიკითხა. ჯო ბაიდენის განცხადებით, „...ორივე დიდ ქვეყანას უფლება არ აქვს, ერთმანეთს ზურგი შეაქციოს“. საინტერესო კადრი დააფიქსირეს ტელეკამერებმა, როდესაც ბაიდენი ტექსტს კითხულობდა, სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი მას თვალს არ აცილებდა. მოგვიანებით ანალიტიკოსებმა განაცხადეს, ბლინკენს ეშინოდა, ბაიდენს ტექსტისთვის არ გადაეხვია და მისი გარჯა, შეხვედრის ორგანიზებისთვის რომ გასწია, წყალში არ ჩაეყარაო.

პირისპირ შეხვედრა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. მოლაპარაკებისას ჩინეთის მხარემ მოსთხოვა აშშ-ს, რომ ტაივანისთვის იარაღის მიწოდება შეწყვიტოს. თუმცა ბაიდენმა ამაზე უარი განაცხადა. საერთო ჯამში, მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, ვერაფერზე შეთანხმდნენ, გარდა იმისა, რომ ორივე ქვეყანა განაგრძობს თანამშრომლობას სამხედრო სფეროში. თუმცა შეხვედრის დასრულების შემდეგ სი ძინპინი და ჯო ბაიდენი კმაყოფილი სახით, ღიმილით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ერთობლივი ბრიფინგი არ გამართულა, მხოლოდ ჯო ბაიდენი ესაუბრა ჟურნალისტებს. სწორედ აქ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ჟურნალისტის კითხვაზე, კვლავ მიგაჩნიათ თუ არა სი ძინპინი დიქტატორად, ბაიდენმა უპასუხა: „ფაქტობრივად, იგი დიქტატორია, რადგან ჩვენგან განსხვავებული სისტემის ქვეყანას ხელმძღვანელობს“.

სამიტის ბოლო დღეს, საქველმოქმედო ვახშამიც გაიმართა სადაც სტუმრობის მინიმალური საფასური 40 ათასი დოლარი იყო...

* * *

ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტი განახორციელა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა გერმანიაში. თუმცა, შეიძლებოდა, ეს სტუმრობა არ შემდგარიყო, რადგან ერდოღანმა ისრაელი ორი კვირის წინ ტერორისტულ სახელმწიფოდ მოიხსენია. გერმანელებმა ვერ გაბედეს დაგეგმილი ვიზიტის გაუქმება, თავად ერდოღანმა არ გაუშვა შანსი, პირდაპირ გამოეხატა საკუთარი პოზიცია. გერმანიაში ერდოღანი კოლეგა ვალტერ შტაინმაიერს და კანცლერ ოლაფ შოლცს შეხვდა. ბრიფინგზე შოლცმა განაცხადა: „...ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი ინტერესები და ებრძოლოს ტერორიზმს“. ერდოღანმა უპასუხა: „...ხოცავს თუ არა ისრაელი მშვიდობიან მოსახლეობას? დიახ. ანგრევს საავადმყოფოებს, საცხოვრებელ სახლებს, მეჩეთებს. როგორც მუსულმანს, მეს ეს მაღელვებს. თქვენ, ქრისტიანებს რატომ არ გაღელვებთ ეკლესიების დანგრევა? ჩვენ ისრაელთან საბოდიშო არაფერი გვაქვს, ჰოლოკოსტის ტრაგედიაში მონაწილეობა არ მიგვიღია“. ერდოღანის ოფიციალური ვიზიტი მხოლოდ რამდენიმე საათს გაგრძელდა.

**გია ბურდული**

# შეძლებს თუ არა ჩინეთი დოლარის ემისიის შეჩერებას

ძალზე საინტერესო და, ვფიქრობ, ყურადსაღები ინფორმაცია ვრცელდება.

**Military Time**-ის ექსპერტები, რომლებიც საფინანსო-პოლიტიკური "ტურბულენტობის" პირობებში მსოფლიო ბაზარს სწავლობენ, ამახვილებენ ყურადღებას მეტად საინტერესო გარემოებაზე: მსოფლიოში ოქროს შესყიდვების "ტოპ"-სამეულში ისედაც მყოფმა ჩინეთმა გააქტიურა თავისი ყიდვისუნარიანობა ამ ძვირფასი ლითონის შესაძენად, თუნდაც მაქსიმალურ ფასებში და თუნდაც ნახევრადლეგალური წყაროებიდან. შესყიდული ოქროს განთავსება ხდება არა ჩინეთის საზღვარგარეთის აქტივებზე, არამედ მხოლოდ ქვეყნის შიგნით - სახელმწიფო და კომერციულ საცავებში.

ჩინეთი იქცევა ისე, თითქოს მსოფლიოში არსებული ოქროს მაქსიმალური ოდენობით შესყიდვა სურს. საერთაშორისო აუდიტების შეფასებით, ჩინეთის ხელში ამ მომენტისთვის არსებული ოქროს მოცულობა 30 ათას ტონას შეადგენს.

ექსპერტების აზრით, ამ ყველაფრის უკან შეიძლება მოიაზრებოდეს მოვლენათა განვითარების სამი სავარაუდო სცენარი:

ჩინეთი ("**BRICS**"-თან და "შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან" შეთანხმებით) ემზადება მსოფლიოს ძირითადი ვალუტების ჩამოსაშლელად, პლანეტის ახალ სავალუტო ერთეულებზე გადაფორმატების მიზნით;

ჩინეთი არ გამორიცხავს "ტაივანის საკითხის" ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტას და ემზადება საპასუხო უსასტიკესი საერთაშორისო სანქციების გადასალახად;

ჩინეთი არ გამორიცხავს ერთ ან რამდენიმე მსხვილ რეგიონალურ ომს, რა დროსაც ოქრო წარმოადგენს გადარჩენის, გადახდისუნარიანობის უნივერსალურ და ყველაზე მყარი საბაზრო გარანტიების მქონე საშუალებას.

ამ ინფორმაციას თან დაერთო ისიც, რომ ახლახან, 15 ნოემბერს აშშ-ის და ჩინეთის პერეზიდენტების შეხვედრა შედგა, ხოლო 7-8 დეკემბერს პეკინში ურსულა ფონ დერ ლაიენსა და შარლ მიშელს აქვთ ვიზიტი დაგეგმილი. არ მაქვს არც ფინანსისტისა და არც ეკონომისტის განათლება-სტატუსი, მაგრამ ისეთი თვალნათელი ამბავი დევს ხელისგულზე, დადასტურებულ პროგნოზებს თუ არა, ვარაუდებს მაინც გამოთქვამს დაინტერესებული ადამიანი, მით უმეტეს, თუ როდესმე ამგვარი ამბებით დაინტერესებულა. გავითვალისწინოთ, რომ სი ძინპინთან (მზარდი ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არასასურველი ქვეყანა მსოფლიოში) დალაპარაკების სურვილი ამ ეტაპზე ყველაზე გავრცელებული მსოფლიო ვალუტების მქონე სამყაროს ლიდერებმა გამოხატეს და მსწრაფლ შეუდგნენ კიდეც საქმეს. რა თქმა უნდა, ლანდებთან მოსაუბრე ბაიდენი ფორმალური ფიგურაა, ისევე, როგორც გინეკოლოგი ლაიენი და მიშელი, მაგრამ მათ უკან ამერიკული და ევროპული ინტერესები დგას, ისინი მხოლოდ ელჩები არიან.

მოკრძალებულად ვიტყვი: ბატონი ოთარ კანდელაკი (აწ გარდაცვლილი) მიამბობდა რაღაცებს, რაც არ მაინტერესებდა. აღმოჩნდა, რომ საინტერესო ყოფილა — ჩინეთთან გამალებულმა შეხვედრის სურვილმა დამაფიქრა.

დაახლოებით 25 წლის წინათ მითხრა (2002 წ. „მართალი გაზეთი", №10, 2 სექტემბერი): „როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემა, მაშინ დოლარმა საკუთარ თავზე აიღო მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ფუნქცია, მაგრამ გადაწყვეტილებაში მიღებული იყო, რომ დოლარს თანდათანობით უნდა დაეთმო თავისი ფუნქციები ერთიანი მსოფლიო ვალუტისთვის, რომელიც **SDR** (ეს-დე-ერ) აბრევიატურით არის ცნობილი ვიწრო წრისთვის. ეს ფულის ფორმით არ არსებობს, ხორციელდება მხოლოდ გადარიცხვების სახით და არის დღესაც, მაგრამ ნაკლებად თუ იცის ვინმემ მისი არსებობა. დოლარმა „არ ჩათვალა საჭიროდ", რომ განვითარებულიყო ერთობლივი მსოფლიო ვალუტა, რადგან ეს დოლარის მსოფლიო პოზიციებს შეასუსტებდა.

მოვა დრო, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს!

20-25 წლის შემდეგ დაიწყება რღვევა.

ვსაუბრობ ლოგიკაზე დაყრდნობით. მამაზეციერის გარდა ვინმემ იცოდა, რომ სსრ კავშირი დაიშლებოდა?

მახსოვს, ქალბატონი თამარ ბერძენიშვილი და მე ბატონ დავით იაკობაშვილთან ვიყავით კაბინეტში. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მისი ფაქსიმილია ეროვნულ ვალუტაზე. ბატონმა დავითმა გვითხრა: მტრისას, თუ აშშ-მა გააბრაზა ჩინეთი, მოკიდებს ხელს თავის აქტივ-პასივებს და აშშ-ს სული ამოხდებაო. ჩვენ ფრიად ჰუმანური მისია გვქონდა, გალაკტიონზე ვესაუბრებოდით, რაში გვაინტერესებდა ფინანსები, მაგრამ ჩამრჩა ტვინის რომელიღაც უჯრედში ეს ფრაზა. ფინანსთა მინისტრი რომ კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილ რაღაც უცნაურს იტყვის, უნდა დაიხსომო...

ეს მცირედია, რაც მოგახსენეთ, მაგრამ ოთარს მივუბრუნდეთ — მან გადმომცა რაღაც კონცეფცია, რაც არასდროს მიმიჩნევია მნიშვნელოვნად, მაგრამ ახლა, ვფიქრობ, ფრიად მნიშვნელოვანია:

დოლარი, სინამდვილეში, კრედიტებით შერყეულ ფულად ერთეულს წარმოადგენს, რომელსაც რეალური გადაფარვა არ გააჩნია. აშშ-მა ევროპასთან და იაპონიასთან მრეწველობოთ მეტოქეობაში სრული ფიასკო განიცადა. დაახრჩობს აშშ-ს იაპონიის ვალი...

მიუხედავად ამისა, ფულად ერთეულზე მსოფლიო მონოპოლისტი ჯერ კიდევ აშშ-ია. დოლარი მსოფლიო ფინანსურ და ფულად სისტემად რჩება...

ეკონომიკაში, რეალური საქონლის წარმოება თავისთავად ერთადერთ ობიექტურ მოთხოვნილებას წარმოადგენს, რომელიც, ადრე თუ გვიან, ფულადი სისტემის დონესაც შეეეხება.

გესმით, რაშია საქმე?

ეს იმას ნიშნავს, რომ ძლიერ ევროპულ ვალუტებთან და ოქროსთან შედარებით, დოლარის კურსი დაეცემა. მომგებიანი სპეკულაციები მსოფლიო დონეზე უცებ შეჩერდება.

მეოთხე პუნქტია: მიმოქცევაში არსებული დოლარის გიგანტური მასების არსებობიდან გამომდინარე, რომლიც საქონლით გაფარვას ითხოვს, დოლარის ზონებში მყარი ჰიპერინფლაციაა მოსალოდნელი. მაშინ აშშ-ის მდგომარეობა მიმოქცევად კაპიტალში განადგურებული იქნება ვალებითა და მისგან გამომდინარე პროცენტებით.

რატომ ვგონივართ ვიღაცას საქართველოში გაუნათლებელი არაადეკვატურები?

როგორც მოგახსენეთ, ბატონი ოთარი ვაშინგტონში კითხულობდა ლექციებს პოლიტეკონომიკაში ინგლისურ ენაზე და ქართულად ვერაფერს გვეტყოდა ქართველებს?

ვალის ზრდის პროცესი უკვე დაიწყო!

ვალის ზრდის პროცესი გავუხრელად იზრდება!

ამერიკა საკუთარი შეუბრალებლობით საკუთარი თავის გაკოტრების ზღვარს უახლოვდება!

ორიოდე სიტყვას ჩემად ჩაურთავდი, მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტია, ფინანსისტებმა და ეკონომისტებმა დაალაგონ თეზისები, მე, უბრალოდ, კარგად გავიგე...

მეხუთე პუნქტია: ყველაზე დრამატული შედეგი — ასეთ გაკოტრებას ევროპისა და იაპონიისთვის ექნება საექსპორტო პოტენციალი. ნულამდე მივა და ფულადი რეზერვები დოლარებში განადგურებული იქნება. მხოლოდ ის ვალუტები, რომლებიც სტაბილური სიმყარეს ოქროთი უზრუნველყოფენ, შეძლებენ გადაურჩნენ ამ გიგანტური საკრედიტო პირამიდი ჩამონგრევას.

მეექვსე პუნქტი ასეთია: დოლარის დაცემა მთელი მსოფლიოს ფინანსური და ფულადი სისტემის დაღუპვას ნიშნავს. ქაღალდის ფულის სამყარო ელვისებურ კრახს განიცდის. რეალურად, ცალ მხრეს დარჩება რეალური ეკონომიკა და საქონლის წარმოება, მეორე მხარეს კი ოქრო, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება... ფულადი ერთეული სწორედ ოქროზე იქნება დამყარებული. ახალი ფულადი სისტემა, ოქრო წარმოადგენს მთლიან სტაბილურობას, მთლიან ნდობას, კეთილგანწყობასა და ყველანაირ სიკეთეს.

მხოლოდ შვიდი პუნქტი ჩამოვთვალე ამ ეტაპზე — რამე ხომ არ გეცნობათ?

კობა ნაყოფია ხომ არ გაგახსენდათ?

მცირედ ექსურსს მოგახსენებთ: ქალბატონ ირინე ღამბაშიძესთან გახლდით და შემომჩივლა, ასეთი ამბავია საყდრისთან დაკავშირებითო. მთლად კარგად ვერ გავიგე, რაში იყო საქმე, მაგრამ გულისტკივილი დავწერე და წავედი დასასვენებლად — ზაფხული იყო. მირეკავს ბატონი ზაზა, თქვენი წამოწყებული საქმეა და მიხედეთ, „კინოს სახლში" ვიკრიბებით ხვალო. ვერანაირად ვერ ჩამოვიდოდი!.. მიიჩქმალა ჩემი ატეხილი ამბავი და ისე მიიჩქმალა, რომ მსოფლიო არტექეფატების გაქრობაც კი მოჰყვა...

ადრინდელი ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს ნაშთი და გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის სამაროვნები (ძვ. წ. VII-VI სს.) რკინიგზის სადგურთან ე. წ. ველებზე. სამარხები ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი იყო. მიცვალებულები იწვნენ მარჯვნივ ან მარცხნივ გვერდზე ხელფეხმოკეცილნი. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რკინის შუბისპირები, ისრისპირები და სატევრები, ბრინჯაოს ფიბულა და სამაჯურები, სხვადასხვა მასალის მძივები.

ანტიკური ხანის (I-III სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი დაბაში. აღმოჩნდა ბრინჯაოს ენოხოია, რომელზეც ამოკვეთილია მოცეკვავე ფიგურები. მინისა და თიხის ჭურჭელი.

ეკლესიის ნანგრევები და სამაროვანი კაზრეთის კარიერ „ბუჩურიანში". აღმოჩნდა VI-VII სს. ქვის სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები. XI-XIII სს. პოლიქრომული ჭურჭლისა და ქართული ასომთავრული წარწერებიანი კრამიტის ნატეხები.

მდინარე კაზრეთის მარჯვენა ნაპირზე პატარა ეკლესიის გათხრების დროს იპოვეს V-VII საუკუნეების სტელები, ჯვრები და XVI-XVII საუკუნეების სამაროვანი.

წითელი ტუფის ორფერდა სახურავით გადახურული ფეოდალური ხანის ქვიშაქვის სარკოფაგი სოფ. ბალიჭში (ხელმძღვანელი ვ. ჯაფარიძე). გულაღმა ჩასვენებულ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა რკინისღეროიანი ოქროს საკინძე და ოქროს ბეჭედი. სარკოფაგის ჩრდილოეთით აღმოჩნდა 11 ქვის სამარხი, მიცვალებულები იწვნენ გულაღმა უინვენტაროდ. სარკოფის დასავლეთით ნაპოვნია მასიური კედლების ნანგრევები, V-VII საუკუნეების მოჩუქურთმებული ჯვრებისა და ადრინდელი ფეოდალური ხანის კერამიკის ნაშთები.

რუსი სად არის, როცა შენ აძლევ ვიღაცას იმას, რაც შენია და ის „რუსი" არ გეძალავება?

ეს ის რუსია, ლარსის საზღვარგამყოფზე „გვაზდიკებით" რომ ხვდები;

ეს ის რუსია, კაზრეთი რომ შეატენე. მგონი, რუსს უფრო ვუყვარვართ, ვიდრე ამ გაურკვეველი წარმოშობის ადამიანებს...

ჩათახის ტყეში თუ არ ყოფილხარ; წუღრუღაშენის მონასტერში თუ არ ყოფილხარ; გზად ბოლნისის სიონში თუ არ შეგივლია, რას ვლაპარაკობ, რატომ და რაზე, რანაირად გაიგებ?

დღემდე ვფიქრობ, მე რომ ის მეთქვა, რაც ვიცი, იქნებ, საყდრისიც გადამერჩინა...

რა კარგია, რუსებზე გადავტეხოთ ჯოხი!

რუსეთი ოკუპანტია — ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ შენ, ქართველი, რატომ აძლევ შიგნიდან გასაღებს ციხის გამღებს, შე გველო?

– მე მივეცი რუსებს კაზრეთი?!

– მე მივეცი საქართველოს წყალი?!

– მე მივეცი რუსეთს სტრატეგიული ობიექტები?!

ეს, უბრალოდ, მოკლე ჩამონათვალია...

**ზურა ოშხერელი**

# ემზარ ცირდავა – მხატვარი ბევრი მზითა და ბევრი ტკივილით

**ხატავს დაჩოქილი, თვალდახუჭული, ამ პროცესის დროს კი ლოცვას ღიღინებს... წერს ლექსებს, რასაც თვითონ გოდებას ეძახის... ცხოვრობს ტკივილით, რომელიც წუთითაც არ ტოვებს და რომელსაც სახელად აფხაზეთი ჰქვია. მისი სახლი მხატვრის სახელოსნოა ფერთა უსასრულო პალიტრით, გამორჩეული ფერწერით, ბევრი მზითა და ბევრი ტკივილით...**

**მხატვრის ფერწერული ტილო „აფხაზეთის ხმა“, აფხაზეთის დაბრუნების სიმბოლოდ იქცა, ხატად აკურთხეს...**

**გმირი მშობლების შვილი, ქვეყნისა და პირადი ტრაგედიის გამოვლის შემდეგ, სწორედ საკუთარმა შემოქმედებამ გადაარჩინა. მხატვრის 5 ათასამდე ნამუშევრის მთავარი თემა კი მშვიდობა და სიყვარულია, რაც იმპრესიონიზმის ახალი მიმდევრობით არის გადმოცემული.**

**სულ ახლახან ფერმწერის პერსონალური გამოფენა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. აფხაზეთიდან დევნილ მხატვარს, აკადემიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, სახალხო დიპლომატს, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მხატვართა კავშირების წევრ** ემზარ ცირდავას **უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი სახალხო დიპლომატიურ შემოქმედებით მოღვაწეობაში. ემზარ ცირდავას ფერწერულ ტილოებს კარგად იცნობენ საზღვარგარეთ. მათი ნაწილი დაცულია ინგლისის, მოსკოვის, გერმანიის, იტალიის და ამერიკის კერძო კოლექციებში...**



## ზეციური სხივი

ხატვა ჩემთვის ყველაფერია - ეს არის ცხოვრება, სიცოცხლის გაგრძელება სიკვდილის შემდეგ. თუ ჩემი ნახატები იარსებებს, ესე იგი მეც ვიარსებებ. ჩემი აზრით, კარგი მხატვარი მაშინ ხარ, თუკი შენი შემოქმედების აღქმა ყველას ერთნაირად შეუძლია, როგორც პროფესიონალს, ისე მხატვრობის მოყვარულ ადამიანს. ძირითადად, ღამით ვხატავ, როცა სიმშვიდეა და მყუდროებას ვერაფერი მირღვევს. თუმცა ზოგჯერ დღე-ღამე ან კიდევ უფრო მეტი დრო მჭირდება სამუშაოდ. ვიდრე ნახატს არ დავასრულებ არც საკვებს ვიღებ, არც წყალს ვსვამ. ვხატავ დაჩოქილი, თვალდახუჭული. როგორც კი ხელში ფუნჯს ავიღებ, ვიწყებ გალობას „უფალო, შემიწყალე“... და ამას ვღიღინებ ნახატის დასრულებამდე, ამ დროს სხვა სამყაროში ვარ. თითქოს სხივი მოდის ზეციდან და თუ სადმე უნდა შევჩერდე, ამასაც ზეციური სხივი მკარნახობს. როდესაც ვხატავ, წინასწარ არასდროს ვიცი, რა გამოვა.

მეცხრე კლასში ვიყავი, როცა ხატვა დავიწყე. ჩემი პირველი ნახატი იყო „რთველი“ - ვაზი, საქართველოს სიმბოლო. მინდოდა, ისეთივე ძლიერი და ხვავიან-ბარაქიანი ყოფილიყო ჩემი ქვეყანა, როგორიც შემოდგომაა. ეს მოხდა სპონტანურად. ცნობილი მხატვრების ტილოებს ვათვალიერებდი და გადავწყვიტე, ბედი მეც მეცადა. პირველივე მცდელობამ შედეგი გამოიღო. ჩემი ნახატებით მაშინვე დაინტერესდნენ ჟურნალისტები და „რთველი“ დაიბეჭდა ოჩამჩირის გაზეთში“. რომ იცოდეთ, როგორ მიხაროდა...

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მოეწყო ჩემი ფერწერული ტილოების გამოფენა მოსკოვში, საერთაშორისო საკავშირო სტუდენტურ გამოფენაზე, სადაც მეორე ადგილი მოვიპოვე და ჩემს უნივერსიტეტს სოხუმში ვერცხლის მედალი ჩამოვუტანე. ჩემივე სურათებით მოიხატა მოსკოვის გენერალურ შტაბში ორი დიდი პანო, სადაც წინა პლანზე ქართული ხელოვნების სახეები იყვნენ წარმოდგენილი...

დევნილობის დროს ჩემი პირველი შემოქმედებითი საღამო ქუთაისში, „ოქროს ჩარდახში“ მოეწყო. შემდეგ კი ქუთაისის ჟურნალისტთა ფედერაციამ, ლედი ტუკვაძისა და ნატო გუბელაძის მხარდაჭერით და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელმა იმერეთის რეგიონში ბატონმა ალუ გამახარიამ ქუთაისის სამხატვრო სკოლის დირექტორად წარმადგინეს, რომელსაც თორმეტი წელი ვხელმძღვანელობდი...

კარგა ხანს ვერ ვბედავდი უწმიდესის პორტრეტის დახატვას ისევე, როგორც უფლის დახატვას ვერ ვბედავ. თუმცა, ერთი საოცარი ამბავი გახდა სტიმული და ერთგვარი ინსპირაციაც იმისა, რომ გამებედა და პატრიარქის პორტრეტი შემექმნა.

მეუფე დანიელმა ხატად აკურთხა ჩემი ფერწერული ტილო „აფხაზეთის ხმა“. აფხაზეთის დაბრუნების სიმბოლოდ იქცა ჩემი ნამუშევარი, რომელიც წინ წაუმძღვარეს შემდეგ მშვიდობიან მსვლელობას ქუთაისში. სწორედ ამ წარმატებით გათამამებულმა გავბედე და პატრიარქის პორტრეტი შევქმენი. ჯერ მეშინია, მაგრამ, ალბათ, მოვა დრო, როცა უფალი უფალსაც დამახატინებს!..

## შეხვედრა ცხოვრების თანამგზავრთან

არ დავმალავ, ლამაზი ქალები მიყვარს და პატივს ვცემ მათ. ასეთივე ვიყავი ადრეული ასაკიდან. სულ რაღაც ოცდაერთი წლისა, სტუმრად ჩავედი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში, ბიძაშვილთან, ვის მეზობლადაც დარიკო მანჯგალაძე, ჩემი მომავალი მეუღლე ცხოვრობდა. ჩემს მეზობლად ერთი მზეთუნახავი ცხოვრობსო, მითხრა ნოდარმა, შენ რომ მოგეწონება და შეგეფერება, სწორედ ისეთი გოგოაო. მე მაშინ უკვე სტუდენტი ვიყავი, სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში ვსწავლობდი, გარს უამრავი ლამაზი გოგონა მეხვია. ვინ უნდა იყოს ისეთი ეგ შენი მეზობელი, ჩემს ნაცნობ გოგონებს რომ სჯობდეს-მეთქი, ვუთხარი, თუმცა ისე აღმიწერა უცნობი გოგონა ჩემმა ბიძაშვილმა, რომ დავინტერესდი. დარიკოსაც იმავე საღამოს „მეზობლურად“ დაუძახეს და გადმოიყვანეს. არ მავიწყდება, რა ძლიერად დაიწყო გულმა ბაგაბუგი მის პირველივე დანახვაზე. მართალია, ირგვლივ ბევრი ლამაზი გოგონა მყავდა, შეიძლება მასზე ლამაზებიც, მაგრამ ასეთი გრძნობა არავის მიმართ გამჩენია. შეიძლება ითქვას, რომ პირველივე ნახვით დამატყვევა... სოხუმში კი დავბრუნდი და ჩემი ლამაზმანებიც მოვინახულე, მაგრამ მაინც გამუდმებით მასზე ვფიქრობდი და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქორწინებას არავინ ეწინააღმდეგებოდა, გაცნობიდან ერთ თვეში ჩვენ გავიპარეთ და დავქორწინდით. დარიკო დედაჩემსაც ძალიან მოეწონა და ასევე დარჩა ბოლომდე, - მისი რჩეული რძალი...

ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა. მარტივი არ არის შემოქმედი ადამიანის ცხოვრება და ამ გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ დარიკოს მეტი ვერავინ „გამიძლებდა“. ის, ფაქტობრივად, ჩვენთან, მხატვრებისა და მწერლების წრეში გაიზარდა. მართალია, მე ვხატავ, მაგრამ ის „ფუთავს“, ანუ ყველანაირ საორგანიზაციო საკითხს მეუღლეს ვანდობ. ის ჩემი ცხოვრებით ცხოვრობს. გვყავს ქალ-ვაჟი, შვილიშვილები და ასე მოვდივართ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია...

## ომი და ჩემი ოჯახის ტრაგედია

ოცდარვა წლის ვიყავი, როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო და იძულებული გავხდით, სახლის ეზოში დამარხული მამის ნეშტთან ერთად, მშობლიური კუთხეც დაგვეტოვებინა. ხუთი და ექვსი წლისანი იყვნენ მაშინ ჩვენი შვილები.

ახალდაბაში ვგქონდა კერძო სახლი, ზღვასთან ახლოს. სახლის მეორე სართულის აივნიდან ზღვას გადავყურებდით. მამაჩემი, ავთანდილ ცირდავა ფინანსთა სამინისტროს უფროსი კონტროლიორ-რევიზორი იყო, რომელიც შემდეგ უკვე აფხაზეთის ომის გმირი გახდა, მისი სახელი და გვარი გმირთა მემორიალზე ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული. დედა მწერალი, საქართველოსა და აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი, დიდი სამამულო და აფხაზეთის ომის მონაწილე **ნადეჟდა ცირდავა** იმხანად ახალდაბის კულტურის სახლის დირექტორი იყო. მე ვმუშაობდი ახალდაბის საშუალო სკოლაში ხატვისა და შრომის პედაგოგად, ასევე, მქონდა საკუთარი რესტორანი „ლაშარელა“, დიდი ბარებით, საბილიარდოებით, სტადიონით... ლაშარელა აფხაზურად ამომავალ მზეს ნიშნავს და ჩემს ვაჟიშვილისაც ამის გამო დავარქვი ლაშა. ამავე დროს, ვმუშაობდი რაიკომში, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ და თან ინტიტუტში ვსწავლობდი. შეძლებული და ბედნიერი ოჯახი ვიყავით, თუმცა, აფხაზეთში ყველა შეძლებულად ცხოვრობდა მაშინ.

როდესაც ომი დაიწყო და შემდეგ ეგრეთ წოდებული პერემირიე გამოცხადდა, ანუ ვითომ სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო აფხაზებსა და ქართველებს შორის, მამა აწარმოებდა მოლაპარაკებებს ჩვენი მხრის ხალხთან. მას ხარიც კი დაუკლეს ათარაში აფხაზებმა, ხელისგულზე ატარეს, დიდი



პატივისცემით გამოისტუმრეს და თითქოს შეაჩერეს ეს ყველაფერი. შემდეგ კი იყო მოთხოვნა რომ სტუდენტები და მოსწავლეები სასწავლებლებში გამოვცხადდებულიყავით, ამით ბევრი ადამიანი მიიტყუეს. მე და ჩემმა მეუღლემაც ახალდაბაში, ჩემს მშობლებთან დავტოვეთ შვილები და სამშვიდობო მოლაპარაკებების იმედად წავედით ზუგდიდში, რომ მალევე მოვბუნებულიყავით და გაგვეგრძელებინა ცხოვრება საკუთარ სახლში. თუმცა, ჩვენი წამოსვლის შემდეგ გზა ჩაიკეტა და ბავშვები ჩემს მშობლებთან დაგვრჩა. ყველაფერი ინგრეოდა უკვე, ყველა გზა ჩაკეტილი იყო და, ფაქტობრივად, არანაირი კომუნიკაცია აღარ არსებობდა.

სწორედ ამ დროს ჩვენთან ერთი მეზობელი მოვიდა და გვითხრა, მე კი არ მინახავს, მაგრამ გავიგე, რომ თქვენი შვილები კისერგამოჭრილი ყრიან ეზოში, მშობლების თავები კი ღობეზეა წამოცმულიო... (ტირის - ნ. ქ.)... იმის გადმოცემა შეუძლებელია, რაც მე



და ჩემმა მეუღლემ მაშინ გადავიტანეთ. მე მიკროინფარქტი მივიღე და ლოგინად ჩავვარდი. მთელი ორი თვის განმავლობაში ზღვას ერთვოდა ჩვენი ცრემლი. ამ ხნის განმავლობაში გვეგონა, რომ ბავშვები დახოცეს და მკვდრები ვესვენეთ ჩვენც, ორივე. თქვენ გგონიათ, რომ ახლაც, როცა რაიმე მიხარია, ან ვიცინი, წამით მაინც ტოვებს ჩემს გულს და გონებას ეს საშინელი მოგონება? დღემდე ამაზე ფიქრი არ მაძლევს ძილს და მოსვენებას...

მერე მეზობელმა დაგვირეკა და გვითხრა, თქვენები ცოცხლები ყოფილანო, მაგრამ უკვე აღარ გვჯეროდა ამდენი არასწორი ინფორმაციის ფონზე. გაგვიყვანეს, ჩაგვსვეს მანქანაში. ენგურის ხიდთან რომ მივედით, დავინახეთ, რომ უამრავი ადამიანი გამოუყრიათ ენგურს გადმოღმა და ყველა მათგანი ეძებდა თავის ახლობლებს.. მათ შორის ვნახეთ ჩვენი შვილებიც და დედაც.

## დედას მონაყოლი

რეალურად სამჯერ გადაარჩინეს დედაჩემი და ჩემი შვილები თურმე დახვრეტას აფხაზებმა. დედაჩემს ესმოდა ტყვეობაში ყოფნის დროს თუ როგორ ზეიმობდნენ აფხაზები ქართველი ჯარისკაცების ამოხოცვას. იყო ქაოსი, იმედგაცრუება და ღალატი, რითაც მტერმა ისარგებლა და ალყაში მოაქცია ჩვენი სოფელი. მტერს ადგილობრივებმა საკუთარი ძალებით ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. მაგრამ ჩვენებს ავტომატების ტყვიის მაგივრად ტყვიამფრქვევის ტყვია შემოუტანეს. ესეც ღალატი იყო. როცა აფხაზების და გადამთიელების საუბარი მოისმინეს ჩვენს სოფლში დარჩენილი მაცხოვრებლები შეეცადნენ თავი გადაერჩინათ და სოფლის შუაში გამავალ ხრამში იმალებოდნენ ჩემი მეზობლები, ჩემები, ბავშვები და სხვებიც... რომ მიმხვდარან, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, თეთრი ზეწრები დახიეს, ააფრიალეს და „სდაიუს“-ო, იძახდნენ, რათა გადარჩენილიყვნენ. ბევრი აწამეს , ბევრს ნაცნობი აფხაზი გამოუჩნდა და შეიფარეს. მათ შორის ჩემებიც. (ტირის - ნ. ქ.). მერე ვიღაც გამოჩნდა, რომელიც დედას და მამას იცნობდა. ჩემი ნათია აუყვანია ხელში ამ აფხაზს, ჩახუტებია და უთქვამს, - ესენი რა შუაში არიანო, სამშვიდობოს გამოუყვანია ჩემი ოჯახი. მიუყვანია ისინი შემდეგ აძუბჟაში ერთ-ერთ სახლში, სადაც აფხაზ ქალს შეუფარებია. რამდენჯერაც მივიდნენ, მოგვეცით დასახვრეტადო, წინ გადაუდგებოდა თურმე ეს ქალი და მალავდა მათ, რომ არ დაეხვრიტათ. ასე რომ, შვილები აძუბჟელმა აფხაზებმა გადამირჩინეს და თუ დღეს ისინი ჩემ გვერდით არიან და შვილიშვილებით ვხარობ, მათი დამსახურებაა. მამა კი, სამწუხაროდ, დახვრიტეს. ის მაშინ 62 წლის იყო. მისი უსიცოცხლო სხეული ჩუმად, ისე, რომ არავის დაენახა, საკუთარი ხელით დამარხა ჩვენივე ეზოში დედაჩემმა, ბავშვების დახმარებით...

## გმირი დედა და ცხოვრება ომის შემდეგ

დედამ თავის ორ შვილიშვილთან ერთად კიდევ სამი ბავშვი გადაარჩინა და შეიფარა. ერთი სულგუნის ყველი ჰქონია თურმე, იმას უზოგავდა, უჭრიდა და აჭმევდა ამ ბავშვებს, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ... მთელი ეს რეალური ისტორია დედამ დაწერა და გამოსცა. მშობლიური კუთხიდან დევნილები იმერეთში ჩამოვედით და ქუთაისში დავსახლდით. მართალია, აფხაზეთიდან ვერაფერი წამოვიღეთ, ერთი ანტიკვარული ბეჭდის გარდა, მაგრამ არც დევნილობაში გვქონია გაჭირვება ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილის, ალუ გამახარიას და ბევრი სხვა კეთილი ადამიანის თანადგომისა და დახმარების წყალობით.

ჩვენი სახლი ოჩამჩირეში ახლა სრულიად გაპარტახებული ყოფილა, ტყედ ყოფილა ქცეული ჩვენი ნასახლარი, სადაც მამაჩემის საფლავი დაგვრჩა. მთელ დაბაში, რომელსაც აგროქალაქი ერქვა მაშინ, აღარავინ ცხოვრობს, მხოლოდ ტყეა. წითელი ჯვრის ორგანიზაციას ვთხოვე დახმარება მამის გადმოსვენებაში, მაგრამ ეს ჯერ ვერ ხერხდება. იმედია, ოდესმე შევძლებთ:

**„მენატრება აფხაზეთი,**
**მამის ნაფეხურები,**
**ზღვას რომ ვხედავ,**
**მენატრება აფხაზეთის პალმები.**
**მენატრება აფხაზეთში**
**გმირთა ნატერფალები.**
**აფხაზეთო, ნეტავ სად ხარ?**
**სად ხარ, რად მემალები!**
**დამიღონდა გული მე**
**და დამიმძიმდა თვალები,**
**გმირთა გმინვა მესმის ღამით,**
**ვერსად ვერ ვემალები,**
**აფხაზეთო, საქართველოვ,**
**შენ კი გენაცვალები!“**

**მოამზადა**
**ნონა ქარქაშაძემ**

# საქართველოს ვერ გააქრობ!

1975 წელს ჟურნალ „**Техника молодёжи**“-ს №6-ში გამოქვეყნდა მრავალი წლის განმავლობაში გაუშიფრავი ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე დრანგიმ. ტექსტის შესახებ ინგლისელმა პროფესორმა ჟეკობ ჰარისონმა განაცხადა, რომ ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა მასზე, გამოიჩინა დიდი სიჯიუტე და ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, ვერ გაშიფრა. სამ თვეში თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ჟურნალს გაუგზავნა ძველი ქართულ-იბერიული დამწერლობის განვითარების შედარებითი ტაბულა, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში.

აკადემიკოსი ა. ა. ბელოპლედევსკი წერდა, რომ ხვედელიძის ჰიპოთეზა, რომელიც უტყუარად დასტურდება, რამდენიმე საუკუნით, სულ მცირე 3479 წლით უკან გადაწევს ქართული დამწერლობის საწყის ისტორიას და ჩვენ შეხედულებებს უძველესი ხმელთაშუაზღვისეულ და კავკასიური (ქართული) ცივილიზაციის ურთიერთობების საკითხებში (სხვათა შორის, ანალოგიური ამბავი გადმოცემით იცის ბატონმა არჩილ ღუდუშაურმა და არა მხოლოდ ეს ამბავი, უბრალოდ, იმდენად უცნაურ ამბებს ჰყვება, რამდენად მისაღებია აკადემიური გაზეთისთვის, ვერ ჩამოვყალიბებულვართ).

შოთა ხვედელიძემ ტექსტი აალაპარკა, რომლის მიხედვით: დაახლოებით ძვ. წ. XV საუკუნეში, საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა როიმ; რომ მიწისძვრის მოლოდინში, მთაში ყვავილი ფურისულა ყვავილობას წყვეტს და კვდება; როიმ ხალხს მოუწოდა, დაეტოვებინათ ტერიტორია „ადრე, ძველად“, იმდენად დიდი ხნის წინათ, რომ ვერ აკონკრეტებენ, ათვლა შეუძლებელია მათთვის. ჰეროდოტე ცხოვრობდა ძვ. წ. V საუკუნეში, ანუ კოლხებს, სულ მცირე, 7300-7500 წლის წინათ უკვე ჰქონიათ დამწერლობა!

რა თქმა უნდა, ბევრს ვისმეს არ „აწყობდა“ და არ „აწყობს“ საქართველოს ისტორიის გასწორება, ამდენად, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ხვედელიძის მიერ გაშიფრულ ტექსტზე მუშაობა დასრულებულიყო, ფაქტობრივად, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი ჩააგდეს. რაც შეეხება შოთა ხვედელიძეს, რომელიც საკმაოდ მხნედ და ჯანმრთელად გრძნობდა თავს, ტაბულის გაშიფვრიდან მალევე გარდაიცვალა და ამ საქმით აღარავინ დაინტერესებულა...

(შოთა ხვედელიძე ამტკიცებდა, რომ ატლანტიდა კავკასიის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ის ბერძნებმა გააყალბეს, სხვანაირად გადმოსცეს, მითები შეთხზეს; შავი და კასპიის ზღვები ადრე ერთიანი იყო და ჩრდილოეთ კავკასიას ესაზღვრებოდა).

პირუთვნელი მეცნიერები, განურჩევლად ეროვნებისა და ქვეყნისა, წყარო-მასალების მიხედვით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კოლხეთს თურმე 40 000 წელზე (400 საუკუნე) მეტი ხნის არსებობისა და სახელმწიფოებრიობის ისტორია ჰქონია.

ვინაიდან მასალები არ გვინახავს, არ ვიცით, რა წერია მათში და ვერ ვიტყვით, რამდენად სარწმუნოა, თუმცა როგორც ხმა არის გავრცელებული, არსებობს და სამ პირად არის შენახული სანდო ადამიანებთან. ასლები მემკვიდრეობით აქვს მფლობელს მიღებული მშობლებისგან და არის ორი სხვადასხვა რუსი მეცნიერის ნაშრომი,

(საქართველო). 400 000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირენეის მთების კალთებზე და ბისკაის ყურის ნაპირზე...

მაშასადამე, 3479 წელს უნდა დაემატოს ჰეროდოტეს, ეპიფანესა და სხვა სწავლულთა მიერ ნათქვამი „უწინ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“, „უწინ“, ანუ რომლებიც როგორც რუსი შოვინისტების, ისე მათ აყოლილ ქართველ საბჭოთა „ვაიმეცნიერების“ მიერ განადგურებას გადაურჩა.

განადგურებით კი, დადასტურებულად განადგურებულია, მაგალითად, XX საუკუნის (1904 წ.) დასაწყისში ვასილ ველიჩკოს წიგნ „კავკასიას“ მე-2 ნაწილი. წიგნი 2009 წელს გამოქვეყნდა პრესაში სათაურით „ამის დაკარგვის ან დავიწყების უფლება არც რუსს აქვს და არც ქართველს“. წერილი იწყება შესავლით: „1904 წელს, ამ წიგნის ავტორის, ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბენკიანმა იმ დროისთვის ზღაპრული თანხა, 5 მლნ ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის მხოლოდ პირველი ტომი, მე-2 ტომი საერთოდ აღარ გამოსულა და ჩვენი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.“

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისტორიკოსმა ზეინაბ ბუაჩიძემ საგანგაშო ფაქტი გამოავლინა — 2012 წელს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ „ქართვლის ცხოვრებაში“ (ტომი I, მე-11 გვ., ბოლოს წინა აბზაცი) ჩამატებულია ფრაზა, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ კავკასიელთა, თარგამოსის შთამომავალთა ენა ყოფილა სომხური. ჩამატებული წინადადება ასეთია „და ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი — სომხური.“

ზეინაბ ბუაჩიძე: „სულაკაურის გამოცემა შევადარე 1955 წელს სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემას (პირველი ტომის მე-6 გვერდი). ვერც ამ და ვერც სხვა აკადემიურ გამოცემაში მსგავს ფრაზას ვერ ნახავთ. მეტსაც გეტყვით, მე-11 საუკუნეში „ქართვლის ცხოვრება“ სომხურად ითარგმნა და მსგავს ფრაზას ვერც ამ თარგმანში ნახავთ. დილით სულაკაურის გამომცემლობაში დავრეკე, ჩემი ვინაობა ვუთხარი. პასუხად მომიგეს 2012-ში გამოცემული „ქართვლის ცხოვრების“ რედაქტორი ჩვენთან აღარ მუშაობს, გავარკვევთ და დაგიკავშირდებითო, მაგრამ ჯერ არ დაურეკავთ. გაოგნებული ვარ. ეს არის დანაშაული ერის წინაშე. ამაზე ხმა უნდა ამოიღოს ყველა ქართველმა.“

მერამდენედ გამახსენდა სულგანათლებული კლიმენტი შელია, როდემდე უნდა ამოვიდნენ ქართველი ვაიისტორიკოსები გაყალბებული „ქართლის ცხოვრებიდანო“...

და ამოიღო ხმა ამჯერად სხვა ისტორიკოსმა. ეს ფრაზა ეკუთვნის ლეონტი მროველს და შედის „ქართლის ცხოვრების“ ყველა რედაქციაშიო; ჟურნალისტებმა კი, თავი დაანებეთ „დამნაშავეების“ ძებნას და როცა რაიმე საკითხზე წერას გადაწყვეტთ, კეთილი ინებეთ და წიგნები წაიკითხეთო.

...და ვკითხულობთ ცნობილი რუსი არქეოლოგის ევგენი კრუპ-

15 ბ3.

# შეუთავსებელთა შეთავსება

**საკრალური (დაფარული) თემების რეტროსპექტივას უძღვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედაქტორი, მწერალი გური ოტობაია. B-5 ფორმატის ხუთტომეულის სახელწოდება „შეუთავსებელთა შეთავსება“ სამყაროს სინონიმია. გამოსაცემად მომზადებული ეს წიგნი ნემსის წვერზე ატევს ყინულს და ცეცხლს, ბოროტს და კეთილს, სიკვდილს და სიცოცხლეს. ამავდროულად, ზედმიწევნით ასახავს ჩვენი პლანეტარული ცივილიზაციის შემოქმედი პროტოიბერიელების დღემდე უცნობ საკრალურ ცოდნას.**

**წინამდებარე პუბლიკაცია წიგნის საგაზეთო ვარიანტია. ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@gmail.com**

## წერილი მეხუთე

მათემატიკოს-ლინგვისტ **გია კვაშილავას** მიერ ზენაარული ნიჭიერებით გაშიფრული ბადროს აღნაგობის, ლინზასავით ორივე მხარეს ამობურცული „ფესტოსის დისკო“ წარმისახვით შუაზე რომ გაჭრა ეზოთერიკოსმა **მიხეილ გალდავამ**, მიღებულ ორ ნახევარსფეროს ერთმანეთში გასასვლელი ხიდი აღმოუჩინა. დისკოზე სპირალურადაა განლაგებული 45 ფიგურა. იგი მარჯვენა მხრიდან მარცხნივ მიემართება და გამორიცხული არ არის, რომ ეს **რვაფოთოლა,** ანუ ჰარმონიული ცივილიზაციის **სამკუთხოვანი,** ჩაკეტილი ცივილიზაციისკენ მსვლელობა იყოს.

გია კვაშილავას ჩინებული ვერბალური მიდგომა და ეზოტერიკოს მიხეილ გალდავას ასევე დიდებული ასტროლოგიური ჰიპოთეზები, ცხადია, ვერ ამოწურავენ ამ პლანეტარული ძეგლი-არტეფაქტის სრულ შინაარსს. სავარაუდოა, რომ იგი იყოს **„ცოლკინის“** დარად ჩვენი **ირმის ნახტომის გალაქტიკის** მატრიცა და მაღალგანვითარებულილი ცივილიზაციის დაბალგანვითარებულისკენ მსვლელობას შეესაბამებოდეს. ამასთან, წარმოჩინდეს როგორც ადამიანის გენეტიკური კოდის მესაიდუმლე, შეესატყვისება კოსმოსური აპარატის, ე. წ. მფრინავი თეფშის მინიატურულ მოდელს და ა. შ.

გვითქვამს, ადამიანის ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედების, სიქსტაგონების ბადეა. მსგავს ბმებს ჩვენ ვპოულობთ ფუტკრის ფიჭასა და ობობას ქსელში (ბუნებაში მოსროლილი ძაფით ობობა პირველ უჯრედს სამკუთხედით აღაშენებს). 6 ზესაკრალური რიცხვია. ძე ხორციელი თავისი არსით ღვთაებრივი ძალის ერთი მეექვსედია, ანუ — **0,1666666**. ნებისმიერ რელიგიას და, მათ შორის, ქრისტიანობასაც, ხელს აძლევს წარმართული სიბრძნის დაფარვა უკეთეს შემთხვევაში, რადგანაც ნეტარი მამების დამოკიდებულება მსგავსი საიდუმლოებებისადმი კაცობრიული წინდახედულებითაა ნაკარნახევი: **არ შეიძლება ზნეობრივად ჩამოუყალიბებელს, როგორც ჩვენს შემთხვევაშია, ხელში ჩაუდო ყველაფრის მომსპობი ატომური ბომბი.**

ადამიანის გენი თავისი სტრუქტურული აღნაგობით შედგება 12 ორი წრიული, 4 ექვსკუთხა და 6 სამკუთხა უბნისგან. ადამიანი უფრო თვალსაჩინოდ კიდურების დაბოლოებებში — თითებშია გამოხატული. ვიცით, თითოეული კიდური 5 თითით მთავრდება. ამიტომაცაა „ცოლკინში“ 7+13=20 მრავლდება 13-ზე და ვღებულობთ 260-ს. მაშასადამე ადამიანს — მამრს 20 არხი გააჩნია საგნებისა და მოვლენების შესაცნობად, ამდენივე ქალს, ორივეს ერთად კი — 40 არხი სამყაროსთან საკონტაქტოდ.

**სალვადორ დალის** მიხედვით, ღვთიური ჭიშკარი ზეციური შუქის დაღმა მსწრაფველი სხივის საბუდარია, ამიტომაც ერთ მთლიანად უნდა აღვიქვათ სამკუთხედის გრაფიკული აღნაგობით მომავალი ნათელი თუ უფლის ტაძარი ინი, როგორც ცაბაოთ-ღმერთის განუყოფელი სხეული. იგი საბოლოდ ქართული ასომთავრული **ჯან**-ია. მარადიული ქვიშის საათი, იგივე ორი სპექტრული ტოლგვერდა სამკუთხედის შეპირაპირებით მიღებული გეომეტრიული სხეულია და საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა, ნებისმიერი დაპირისპირებული სიდიდის, განზომილებათა შეთანაწყობა გვაძლევს დავითის ვარსკვლავს, წესიერ ექვსკუთხედს, ადამიანის ტვინის ნეირონებს, გადაჯვარედინებულ ხელებს ფარაონის დაგვირგვინებისასაა ეს თუ დასარკოფაგებისას. დავითის ვარსკვლავი გამოსახულია თიამათის ხელისგულზე და რეალურ სინამდვილეში ერთადერთი ერის, ებრაელთა სახელმწიფო დროშაზე ღრმასულიერების უმაღლეს ფასეულობის სიმბოლოდ.

კარგად თუ დავაკვირდებით, **„ცოლკინში“** არ გაგვიძნელდება სამკუთხედების პოვნა და მათი დაკავშირება ადამიანის თავისქალასთან, რომელიც საკრალურ ენაზე იგივე **სამოთხეა**, 3-ის და 4-ის ერთობა. 13 ტვინის დიდი ჰემისფეროს სიმბოლიკაა და 7 — პატარა ჰემისფეროსი, **რომელთა ჰარმონიული თანამშრომლობა-თანაქმედება (და არა კონფრონტაცია) ქმნის გასაოცარ წონასწორობებს და სიმეტრიებს, ანუ სამყაროსეულ მატრიცას.**

**სალვადორ დალის** მიხედვით, კაცობრიობის ხსნა პროტოიბერიული რასისგან, თეთრი ადამიანისგან, კავკასიოდისგან, იგივე ქართველისგან იქნება ადრე თუ გვიან, რადგანაც მისი პანოს („ახალი ადამიანი“...) მთავარ პერსონაჟს **— Geopolitical Child the Bitth of the New Man, 1943** — თითი კავკასიისთვის მიუშვერია, აქ, ცხადია, საუბარია ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ფანტომის მოვლინების ტოლფასია დედამიწა-კვერცხიდან. სისხლი და გაუკუღმართებანი მოსდგამს ამ „გამოღვიძებას“, მაგრამ ხსნა ყოველთვის არის და ეს **ხსნა პროტოიბერიული რასაა, მისი პოლიფიონიური სიმღერები და ცეკვები თავბრუდამხვევი ციბრუტებით — „იბერიკონით“.**

ჩვენ მივანიშნეთ, რომ კაცობრიობის გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიის სიღრმისეული ცოდნით, ანუ ოლიგარქიული ძალისხმევით შექმნილი ფინანსური წყაროების მართებულად მიმართებით ზოგადკაცობრიული ფასეულობებისკენ. სოროსებს და მის მიმდევრებს თანამედროვე მსოფლიო კატასტროფისკენ, გარდაუვალი დაღუპვისკენ მიჰყავთ, მაგრამ კაცობრიული გონი არ დაუშვებს უფლის ხელით შექმნილის ადამიანის ხელით განადგურებას. დღეს თუ ხვალ ასეთი ადამიანები უეჭველად გამოჩნდებიან ცხოვრების ასპარეზზე.

მეათე საუკუნის სინელი ბერის, **იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“** გვეუბნება:

„დამარხულ (დაფარულ, გასაიდუმლოებული, გ. ო.) **არს ენაი** (მოდგმა, შთამომავლობა, რასა, გ. ო.) **ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.**

**და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან** (რუსები დღესაც ლაზარეს ეძახიან ქართველს, გ. ო).

**და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი, და მეგობრობაი** (განდობილი ხალხი, ქურუმები, გ. ო.) **ამისთვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს“.**

**და ოთხისა** (4, იგივე 13, ცის თაღის ნახევარი ბრუნი, ნებისმიერი ცივილიზაციის არსებობის ასაკი, მუდმივა, გ. ო.) **დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღეი“.**

**და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისასა წილი ზის, რომელიც ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხიათასსა მარაგსა; და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი. ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა.**

**და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა, ქრისტეის მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.**

**და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.**

ლიგვისტ-მათემატიკოსის, ბატონ **გია კვაშილავას** მიერ ჩინებულად გაშიფრულ „ფესტოსის დისკოს“ A მხარეზე ვკითხულობთ:

**„აია ჭაბუკნო, განმწმენდელნო დაფარულო ტაძრისანო,** (ლაბირინთი) **აია, ჭაბუკნო, სადარნო განმწმენდელნო დედის კარის, დაფარეთ თაღი გაღვთიურებულნო! ქვეყნის სიმაღლისანნო,** (სიცოცხლის ძალნო) **წინმავალო კორიბანტნო,** (მფარველო ანგელოზნო) **ქვეყნის სიმტკიცენნო** (შემწენო) **ჰქმენით დაფარული ტაძარი,** (ლაბირინთი) **ქვეყნის სიმტკიცენნო** (შეწენო) **მარადმავალნო კორიბანტნო,** (მფარველო ანგელოზნო) **გარდაქმენით აიას** (იბერიელების, კოლხეთის, საქართველოს, გ. ო.), **სიცოცხლე ყოველნაირად. შუადამის მთვარით განათებულნო, დედის ქვეყანა მუდამ დაფარეთ, დაასხნით ხელნი ბრუნვა-ფარვა სხივოსანნო ფარავნო, ოჯახის ფუძის, ჯიშის სვლა-ბრუნვის განმწმენდელნო“.**

დისკოს B მხარეზე ვკითხულობთ:

**„ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო, მოდგმის ნენანავ,ააყვავე ხუთი შტო, მშვენი, ჯიშის სიწმინდით, ახლით ნარშემოსილი ერთო ძლიერო შტოვ, ოჯახის წმინდავ ძლიერო, თაურო ხუთი შტოისა, მფარველო სხივოსანო ნანაღმერთო** (დედაღმერთო) **წინმავალო, ხანგრძლივ ჰყავ დედის ტაძარი** (სპილენძისა), **მაყვავებელო თარხონო, ნათელო ჰეფესტოო** (ოსტატღვთაებაო) **მდნობელო წინამძღოლო, გაანმწმენდელო სხივოსანო, დაფარეთ მისი მოგიზგიზე სასახლე — ჩვენო მჭედელო, ახლითმოსილო მთავარისნაირო“.**

აჰა, ხელთა გვაქვს იბერიული ნიჭიერებითა და უფლისეული მადლით ჩვენამდე მოტანილი ორივე ტექსტი, რომელთა ძალისხმევით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი **ენის — ჯიშ-ჯილაგის, მოდგმის, იგივე პროტოიბერიელების, იგივე კოლხების, იგივე ქართველების სამყაროისეული დანიშნულება კაცობრიობის ლოცმანობაა,** როგორც კომპასს ხელეწიფება გემ-ხომალდების მშვიდობიანად გაყვანა რიფეებში, საადამიანოს მართებულ გზაზე დაყენება. ეს მართებული თემ-შარია კი, ოლიგარქიულ მსოფლიოზეა დამოკიდებული, ანუ იმ ადამიანებზე, რომელთაც დააგროვეს დედამიწისეული მატერიალური სიმდიდრე და არ იციან, სად დააბანდონ ეს ფინანსური რესურსები — ომებში, ადამიანების დამაკნინებელ პროექტებსა თუ საყოველთაო მშვიდობის, საყოველთაო ამაღლების და აღმშენებლობების მაძიებაში.

ეს ძალისხმევა, უწინარესად, ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური გაჯანსაღებისთვის ზრუნვაა, მისი დემოგრაფიულ-სოციალური მერმისისთვის განუზრელი მუშაკობა, როგორც იგი ახსნილია „ფესტოსის დისკოს“ ეპიცენტრში ჩახატულ **რვაფოთოლას** — ჰარმონიული, ჭეშმარიტად თავისუფალი, ჭეშმარიტად ერთმანეთისთვის თავდადებული საადამიანოს სიმბოლოს, მაგრამ როგორც იტყვიან, ყველაფერზე რიგისობის მიხედვით, გაზეთის მომდევნო ნომრებში.





# საქართველოს ვერ გააქრობ!

← 13 გვ.










ნოვის მიერ სიმონ ჯანაშიასადმი მიწერილი წერილიდან ამონარიდს, რომელიც სთხოვს დახმარებას სახელმძღვანელო წიგნის, „საქართველოს ისტორიის“ შეძენაში: „ღრმად პატივცემულო სიმონ ნიკოლოზის ძევ! ვკადნიერდები გარემოებათა გამო და მოგმართავთ დაჟინებული თხოვნით, არ მითხრათ უარი მადლის ქმნაში, — გასცეთ განკარგულება, დაზღვევით გამომიგზავნონ წიგნი „საქართველოს ისტორია“ რუსულ ენაზე.

მთელი წლის განმავლობაში (1946 წლის აპრილიდან) ჩემი ყველა მცდელობა, შემეძინა ეს წიგნი, ამაო აღმოჩნდა, არადა, ჩემი მდგომარეობა (კავკასიის მკვლევარისა) მავალდებულებს, ვიცნობდე ყველა მიღწევასა და ბოლო სიტყვას კავკასიის ისტორიის შესწავლაში, ანუ ზუსტად ვიცოდე ის, რაც ასე უხვადაა წარმოდგენილი თქვენს სახელმძღვანელოში, რომელიც თავისი სულისკვეთებითა და მნიშვნელობით ყოველგვარ შედარებაზე მაღლა დგას.“ წერილი დაწერილია 1947 წლის 29 იანვარს. ქ. მოსკოვში.

აი, ასეთი შედევრი-სახელმძღვანელო ბოლო გამოცემიდან ორიოდე წელში ისე „ძველდება“, რომ ასაკრძალი და ახლიდან გამოსაცემი ხდება. 1958 წელს გამოდის ახალი „საქართველოს ისტორია“ ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით.

ამ დიდი სახელმძღვანელოს აკრძალვის ნამდვილ მიზეზზე პასუხს მოსკოვის აკრძალული და მოსკოვისავე მოწონებული პრინციპული მონაკვეთის შედარებაც კი იძლევა.

ორივე სახელმძღვანელოს ბოლოში დართული აქვს ქრონოლოგიური სია. აკრძალულში მას „უმნიშვნელოვანესი თარიღების ტაბულა“ ეწოდება, მოწონებულში — „საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები“;

აკრძალულში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ძველი და ახალი წელთაღრიცხვის თარიღები დასათაურებით: „ძველი წელთაღრიცხვით“ და „ახალი წელთაღრიცხვით“, ხოლო მოწონებულში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის თარიღები არანაირად არ არის გამოყოფილი;

აკრძალულში დამოწმებულია ძველი წელთაღრიცხვის 11 თარიღი, მოწონებულში — 3;

აკრძალულ სახელმძღვანელოში დამოწმებულია:

XIII ს. ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი;

XIII-XI სს. მითანის სამეფოს ძლიერების პერიოდი;

XII-XIII სს. ახალი ხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდი;

1287 წ. ხეთის მეფის ხატუშილ III-ის ხელშეკრულება ფარაონთან. (ეს შესანიშნავი დოკუმენტი მოღწეულია ჩვენამდე და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელ ძეგლად ითვლება);

XII-XI სს. თრიალეთის მაღალი კულტურული ცენტრი;

XI-III სს. აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის აყვავების პერიოდი;

XI-X სს. სუბარული ტომების ბრძოლა ასურეთთან;

IX-III სს. ურარტუს სამეფოს ძლიერების პერიოდი;

II ს. პირველი ცნობების გაჩენა ბერძნულ მწერლობაში იბერიასა და კოლხეთის სამეფოების შესახებ;

190 წ. ახლო ხანები. სომხური სამეფოების წარმოშობა;

65 წ. რომაული გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში;

მოწონებულშია:

ძვ. წ. II საუკ. ეგრისის (კოლხეთის) ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობა;

ძვ. წ. III საუკ. ქართლის (იბერიის) ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება;

ძვ. წ. 65 წ. რომაელების ლაშქრობა და მათი გავლენის დამყარება საქართველოში.

მხოლოდ ამ ორი შედარების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახად, რომ 1200 წლის ისტორიაა მოპარული, თუმცა ნაქურდალი ბევრად მეტი და დიდია, რადგან, XIII საუკუნე ძველი ხეთის სამეფოს ძლიერების ხანაა, ხოლო თვით სამეფოს წარმოშობა და განვითარება 10 საუკუნით უკან მოხდა, III ათასწლეულში.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმ სახელმძღვანელოში, რომელშიც სულ მცირე, ისტორიის 2500 წელიწადია მოპარული, არ შეიძლება რაიმე, მეცნიერებისთვის ღირებული იყოს.

მაინც, რა იყო მასში ასე საგულდაგულოდ დასამალი და დასაწვავი?

ვთქვათ, ის, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები ქართველების წარმომავლობას იწყებენ ძველი შუმერებიდან. ფართო საზოგადოებას არ უნდა გაეგო, რომ ველურმა ინდოევროპული წარმოშობის ბერძნებმა დაიპყრეს პელაზგების ქვეყანა, ანუ პროტოქართველები და მთლიანად მიითვისეს მათი კულტურა. სახელმძღვანელოს მოყვებოდა რუკებიც. სახელმძღვანელო გამოცემული იყო ქართულად, რუსულად, ინგლისურად და თურქულად — მსოფლიოს გასაგონად! ფართო წრეებში, ვის უნდა დღესაც კი, რომ ქართველი დადასტურებულად აღმოჩნდეს წინარებერძნული, წინარერომაული და წინარეეგვიპტური კულტურის კი არა, ცივილიზაციის მქონე ხალხის შთამომავალი?

თავისთავად ხდება უკვე ქრისტიანობამდე მისვლა, ანუ ბიბლიამდე, სადაც ვხვდებით, ვთქვათ: მამა აბრამ — ქალდეველს, ქალაქი ური-დან. მისით დაწყებული, ყველა არის ან ქალდეველი, ან ხეთელი („თალმუდში“ წერია, რომ ებრაელების ღმერთი, იაჰვე ეუბნება ებრაელობას, თუ გინდათ, მე გავიგო, ქალდეურ ენაზე მომმართეთ და ილოცეთო). რა თქმა უნდა, დასამალი იყო და არის ის ყველაფერი, რაც იმას ამტკიცებს, რომ ამ ჯიშის მატარებელი არის ქართველი!

(ბუნებრივია, აღნიშნული სახელმძღვანელო დღეს გადასახალისებელია მცირედით იმ მხრივ, რომ 1943 წლის შემდეგ დღემდე ჯერ მხოლოდ არქეოლოგიამ დადო გასაოცარი მასალები, მაგრამ იმ მხრივ კი შეუცვლელია, საიდანაც ისტორია იწყება და გრძელდება).

საკვირველი ის კი არ არის, რომ „ვიღაცები“ ისტორიას უყალბებენ საქართველოს, არამედ ის არის, რომ ახლა მაინც არ ყვირიან ხმის ჩახლეჩამდე ამაზე სხვადასხვა სპეციალობის ქართველი სწავლულები და არც არავინ ფიქრობს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გასწორებას....

სანამ ქართველები ყურმიდებულები არიან, სოციალურმა ქსელმა „ფეისბუქმა“ კიდევ ერთხელ გააქრო ინფორმაცია, რომ ქართველი კინოდოკუმენტალისტი და რეჟისორი ბუბა ხოტივარი ქართული ცივილიზაციის უძველესი ფესვების შესახებ სამეცნიერო-პოპულარული სერიალის გადაღებას გეგმავდა. გეგმავდა, ხომ არ გადაუღია, მაგრამ მონახაზი რაც იყო, ნამდვილად გულშემოსაყრელი იყო მავანთათვის, მით უმეტეს, რომ ეს „მავანნი“ ძალზე ბევრნი არიან, რადგან მთელი მსოფლიოს ისტორია თავდაყირა დადგება და ახლიდან დასაწერი გახდება. დრო მტარვალია, ბატონი ბუბა გავიდა ამ ქვეყნიდან... ბატონმა გური შენგელაიამ დამირეკა ამ საკითხთან დაკავშირებით....

**მაკა ჯაყელი**

(გაგრძელება იქნება)



ТЕКСТ ИБЕРИЯСКОЙ НАДПИСИ, ПРОЧТЕННОЙ Ш. В. ХВЕДЕЛИДЗЕ

Сверху вниз: иберийский, древнегрузинский, русский тексты.

1. Досталась нам судьба горькая и тяжелая. Во времена по календарю детей Сабио в 4100 году[1] суа внезапно земля содрогнулась.

2. Вокруг все извергалось, точно так, содрогалось с громом, точно так. Такова действительность[2], добавил наблюдательный.

3. Абр. Долго ходил за ними[3], запрет наложил на кузнецов, кои слушали его и коим он доверял.

4. Рио просил, глядя на обстоятельства, наложивая рассказ о том, что давно в 8000 г. случилось, что отчизна иберов

5. проваливалась груда[4], пропала. Соберитесь и обретите, несчастные, хлеб насущный, свою волю повелевал собратьям.

6. Передавал мнение свое народу хорошо говорящий[5], колеблющимся противоречил.

7. Рио. Нашли землю обетованную во время подкатия трое пошло, решили занять ее.

8. Собрались идти в количестве 200 снопов[6] в далекие края, смело собрались посмотреть отчизну.

9. Рио поделил на 30—28 снопов. Понравилось земля в стороне захода солнца собратьям.

10. Решили следовать собратьям сыны Абакети. Поднявшиеся из Абакети, поделились на семь групп, было время.

11. По календарю детей Сабио в 4101 г. ... покинули Иберию с надеждой найти пристанище, о ной, Алху Удзе.

# კერძო სამხედრო კომპანიები - სერიოზული და მნიშვნელოვანი ძალა

მსოფლიოში ბევრი კერძო სამხედრო კომპანია არსებობს, რომელთა მებრძოლებს, ძირითადად, იქ იყენებენ, სადაც რეგულარული ჯარები ვერ იმოქმედებენ. კსკ-ები მონაწილეობენ ტერორისტების განადგურებაში, იცავენ ადამიანებს, სტრატეგიულ ობიექტებს და ტვირთებს, გარდა ამისა, შესაძლებელია, ჩართული იყვნენ საომარ კონფლიქტებშიც, როგორც, მაგალითად, უკრაინაში.

სამხედრო ოპერაციებში დაქირავებული მებრძოლების გამოყენების იდეა დევიდ სტირლინგს ეკუთვნის, რომელმაც 1965 წელს მსოფლიოში პირველი კერძო სამხედრო კომპანია **Watchguard Internacional**-ი შექმნა. ორგანიზაციამ 1972 წლამდე იარსება.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ფრანგმა სამხედრომ და დაქირავებულმა მებრძოლმა ბობ დენარმა

შექმნა ფირმა „წარმატების ჯარისკაცები“ რომელიც აფრიკაში სამუშაოდ ახორციელებდა მებრძოლების გადაბირებას.

დღეისათვის მსოფლიოში ბევრი კერძო კომპანია არსებობს, ზოგიერთ მათგანს მხოლოდ დაცვის ფუნქცია აკისრია, ზოგი კი სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. მათი უმეტესობა აშშ-სთან არის დაკავშირებული.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კერძო სამხედრო კომპანიებია:

**Academi** (ყოფილი **Blackwater**-ი), აშშ, დაარსებულია 1997 წელს; **Asgaard**, გერმანია, დაარსებულია 2002 წელს; **Group 4 Securicor**, დიდი ბრიტანეთი, დაარსებულია 2004 წელს; **Military Professional Resources Incorporated**, აშშ, დაარსებულია 1987 წელს; **Aegis Defence Services**, აშშ, დაარსებულია 2002 წელს; **Northbridge Services Group**, დომინიკანა, დაარსებულია 2002-2003 წლებში;

მსოფლიოში ყველაზე ცნობილია კერძო სამხედრო კომპანიაა **Academi**, რომელიც შემოსავლების 90%-ს აშშ-ის მთავრობის შეკვეთების შესრულებით იღებს.

ბრიტანული **Group 4 Securicor**-ი უმსხვილესი კერძო სამხედრო კომპანიაა, რომლის წევრთა რაოდენობა 533 ათასია (2021 წ.).

რუსეთში არსებული კერძო სამხედრო კომპანიებია:

**„ვაგნერი“**, დაარსებულია 2014 წელს (რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მონაწილე);

**„რედუტი“**, ასევე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მონაწილეა;

**„რსბ გრუპ“**-ი დაარსებულია 2005 წელს. მისი ოფისები მდებარეობს ევროპის ქვეყნებში და აფრიკაში. კომპანია დაკავებულია ხომალდების დაცვითა და სამხედრო კონსალტინგით.

რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, ცნება „კერძო სამხედრო კომპანია“ არ არსებობს. უფრო მეტიც, დაქირავებული მეომრობა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თავისუფლების აღკვეთით ისჯება. რუსეთის ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდა რუსეთში კერძო სამხედრო კომპანიების არსებობას. ყველაფერი სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ შეიცვალა.

ყველაზე ცნობილი რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ 2022 წელს ჩრდილიდან გამოვიდა და ბიზნესმენმა ევგენი პრიგოჟინმა მისი (სამხედრო კომპანიის) არსებობა დაადასტურა. იმ პერიოდში სანკტ-პეტერბურგში გაისხნა „კსკ „ვანგერის“ ცენტრი“, რომელიც თავდაცვითი ტექნოლოგიების განვითარებით უნდა დაკავებულიყო.

2023 წლის 23 აგვისტოს „ვაგნერის“ დამაარსებლები ევგენი პრიგოჟინი და დმიტრი უტკინი, რომლის მალსახმობიც იყო „ვაგნერი“, თანამებრძოლებთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპენ.

მიმდინარე წლის 1-ელ ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“, რომელიც რუსეთის ნაციონალური გვარდიის ფედერალურ სამსახურს შეუერთდა, სათავეში ევგენი პრიგოჟინის ვაჟი, 25 წლის პაველ პრიგოჟინი ჩაუდგება. მას გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური, რის შემდეგაც მამის სამხედრო კომპანიაში გადავიდა. პაველ პრიგოჟინი მონაწილეობდა სირიაში განხორციელებულ ოპერაციაში. მიღებული აქვს „რკინის შავი ჯვარი“ (კერძო სამხედრო კომპანიის შიდა ჯილდო), რომელსაც განსაკუთრებით რთული დავალების შესრულებისთვის ანიჭებენ.

„ვაგნერის“ წარმომადგენლობაში განაცხადეს, რომ განაგრძობენ მებრძოლების მიღებას, რომელთა შორის ყოფილი პატიმრები აღარ იქნებიან.

რა ფუნქციები დაეკისრება „ვაგნერს“ პაველ პრიგოჟინის ხელმძღვანელობით? ნაციონალური გვარდიის შესახებ ფედერალური კანონის თანახმად, „ვაგნერის“ ამოცანები საზოგადოებრივი წესრიგის, სარეჟიმო ობიექტებისა და ტვირთების დაცვა, ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლა, უმაღლესი თანამდებობის პირთა დაცვა და დეტექტიური საქმიანობა იქნება.

„ვაგნერის“ წევრებს უფლება ექნებათ, ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი, ქვედანაყოფს კი სამხედრო ტექნიკის გამოყენების უფლება შეუნარჩუნდება. მათ ფუნციებში შევა ტერიტორიული თავდაცვა, რაც სპეციალურ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არ გამორიცხავს.

ცოტა ხნით ადრე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ „ვაგნერმა“ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს გადასცა ორი ათასი ერთეული ტექნიკა და შეიარაღება, მათ შორის, ტანკები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, საზენიტო-სარაკეტო-საქვემეხო კომპლექსები, ასევე, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, ჯავშანტრანსპორტიორები და სხვა შეიარაღება.

ძალიან ბევრი ქვეყანა კერძო სამხედრო კომპანიებს გაზრდილი რისკის ზონებში იყენებს კომერციული, სახელმწიფოთაშორისი ან სხვა პროექტების უზრუნველყოფის მიზნით და ლოკალურ კონფლიქტებში სექტორული მონაწილეობისთვის,

ასევე, ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანიების მსვლელობისას.

„კერძო სამხედრო კომპანიები სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევენ, გამოიყენოს უფრო მეტი ინსტრუმენტი სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტებში ან სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციებში ჩართვის ან არჩართვის მიზნით“, — განაცხადა ექსპერტმა.

„კორონავირუსის პანდემიის პირობებში კერძო სამხედრო კომპანიებზე ბიზნესის მხრიდან დიდი მოთხოვნა იყო. დაქირავებული მებრძოლები ჩართული არიან გამოუცხადებელი სამხედრო კონფლიქტების სისტემაში, რომელშიც მონაწილეობენ ექსტერიტორული კუთვნილების არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებები, იმ ქვეყნებსა ან ადგილებში, სადაც მაღალი კომერციული აქტოვობებია, მიმდინარეობს სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გადამუშავება, როდესაც ტერორისტები და ბანდიტები ცდილობენ ამ პროექტებში ძალადობრივად ჩართვას. კერძო სამხედრო კომპანიები გამოიყენება ზღვის მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ასეთ სიტუაციაში კერძო სამხედრო კომპანიის გარეშე ძნელია ფონს გასვლა — ან სახელმწიფო სამხედრო წარმონაქმნები უნდა გამოიყენო, ეს კი გამოუცხადებელ სამხედრო კონფლიქტში ჩარევაა, ან აუცილებელია ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას, გამოიყენოს ლეგალური ძალა ამ კონფლიქტში მსხვილი სამხედრო სტრუქტურების ჩარევის გარეშე. კერძო სამხედრო კომპანია — ეს სერიოზული და მნიშვნელოვანი მექანიზმია“, — განაცხადა საერთაშორისო ანტიტერორისტული ასოციაციის პრეზიდენტმა იოსიფ ლინდერმა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კერძო სამხედრო კომპანიების გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, თუ საუბარია ნაციონალური ტერიტორიიდან მოშორებით მიმდინარე სამხედრო ოპერაციებზე.

„ეს როდი ნიშნავს, რომ არმია კერძო სამხედრო კომპანიის ფორმატზე უნდა გადავიდეს. ეს სისულელე იქნებოდა. ეს არც იმას ნიშნავს, რომ **კერძო სამხედრო კომპანიის მებრძოლები შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან ნაწილს უნდა შეადგენდნენ, თუმცა, აშშ-ის მიერ ერაყში ჩატარებული ოპერაციის დროს ამერიკის ჯარში უმეტესობა კერძო სამხედრო კომპანიის მებრძოლები იყვნენ**. სპეციალური ოპერაციებში, როცა სახელმწიფოს არ შეუძლია მათში პირდაპირ მონაწილეობა, ის კერძო სამხედრო კომპანიებს იყენებს“, — განაცხადა ექსპერტმა.

ექსპერტმა, ასევე, განაცხადა, რომ სპეციალური სამხედრო ოპერაციის მონაწილე კერძო სამხედრო კომპანიის მებრძოლები საერთო კონცეფციის განუყოფელი ნაწილი არიან.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კერძო სამხედრო კომპანია სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი სამხედრო ერთეულია, რომელიც უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრასა და ურთულესი პრობლემების მოგვარებაში ეხმარება ხელისუფლებას, ის კი ყველანაირად ცდილობს, მისი (კერძო სამხედრო კამპანიის) არსებობა კანონმდებლობით გაამყაროს.

**ბელა გველესიანი**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99